www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 3 აგვისტო, 2012 წელი. | №3081 (174) | ფასი 50 თეთრი

გრაფიკიდან ამოვარდნა

ქახა ფაჩუაშვილი
ლონდონიდან

ძველი ანეკდოტია, ალბათ გსმენიათ. ტიპი ზედიზედ დიდ ფულს მოიგებს ტოტალიზატორში. უცებ ურეკავენ და ატყობინებენ - შენი სიდედრი კვდებაო - აი, ეგ არის რა? კარგ პალასაზე რომ დადგები, მიდის და მიდის - აღმოხდა გახარებულს.

ჰოდა ეგაა რა? ჩვენ "ცუდ პალასაზე"შევდექით და ბოლო არ უჩანს.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

სამართალდამრღვევი შემომწირველების ქონება აუქციონზე

დღეიდან დაიწყება პოლიტიკური პარტიებისთვის 17 შემომწირველის დაყადაღებული ქონების აუქციონზე გატანა. როგორც აღსრულების ბიუროში აცხადებენ, დღეს აუქციონზე გავა 10 შემომწირველის ქონება, დანარჩენი 7 პირის ქონებაზე კი აუქციონი 6 აგვისტოს ჩატარდება.

საუბარია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამი კვირის წინ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც, აუდიტის სამსახურის მიერ შედგენილი ოქმები, რომლის საფუძველზეც პოლიტიკური პარტიების 17 წარმომადგენელი სამართალდამრღვევად გამოცხადდა, სასამართლომ სამართლიანად ცნო და შესაბამისად, სამართალდამრღვევებს, პარტიებისთვის გაღებული შემოწირულობის ხუთმაგი ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ამერიკის ახალი სანქციები ირანისთვის

სალომე ჯანიაშვილი

კონგრესმა ახალი სანქციები დაამტკიცა

აშშ-ს კონგრესმა ახალი სანქციები დააწესა ირანის წინააღმდეგ, რომლის შესახებაც არსებობს ეჭვი, რომ ფარულად ცდილობს ბირთვული იარაღის შექმნას. ივლისის ბოლო დღეს აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გააკეთა განცხადება "ორ ახალ ნაბიჯზე, რომლებიც გაზრდის ირანზე ზეწოლას და მის იზოლაციას". ამის მიზეზია ის, რომ ქვეყანა საერთაშორისო ვალდებულებების იგნორირებას აგრძელებს.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

20 წლის თიბისის 12 თვე

ია ვეკუა

ბანკი ერთ-ერთი ყველაზე პროზაული, ზოგჯერ მოსაწყენი დაწესებულებაა, მაგრამ როდესაც საქმე თიბისი ბანკს ეხება, ბევრისთვის ის მხოლოდ ანაბრებთან და სესხებთან არ ასოცირდება, რადგან არა ერთი მსხვილმასშტაბიანი სახელოვნებო პროექტის მხარდამჭერი სწორედ თიბისი გახლავთ.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6589⇓		
1 ევრო	2.0381⇓		
1 ინგლისური გირვანქა	2.6031⇓		
1 თურქული ლირა	0.9236⇓		
100 რუსული რუბლი	5.1509⇓		
თბილისი	31°C - 23°C		
ქუთაისი	36°C - 24°C		
თელავი	32°C - 23°C		
ზუგდიდი	35°C - 21°C		
ბათუმი	29°C - 23°C		
ნავთობი	2.87	+0.02	+0.80%
გაზი	3.17	-0.04	-1.23%
ოქრო	1,602.30	-8.20	-0.51%
ხორბალი	863.50	-24.75	-2.87%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

"დილას" პირველი მარცხი

მათე ვაწაძემ კვიპროსელ მცველებს ვერ აჯობა

საარჩევნო პროცედურები - ცესკო-მ პირველი სხდომა გამართა

დათო გვინერია

არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ, დღის წესრიგში პროცედურებია. ცესკო-მ გუშინ, არჩევნების დღის გამოცხადებიდან პირველ სხდომაზე, სახელმწიფო დაფინანსების განკარგვის წესი დაამტკიცა. ცენტრალური საარჩევნო კომისია საპარლამენტო არჩევნებისთვის 29 მილიონი ლარის დახარჯვას აპირებს.

როგორც სხდომის შემდეგ ცესკო-ს თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა აღნიშნა, კომისიამ იმსჯელა და დაამტკიცა რამდენიმე ტექნიკური საკითხი. ასევე, გამოცხადდა კონკურსი საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის. განაცხადების მიღება ორ დღეს გაგრძელდება. გარდა ამისა, დარეგისტრირებულ პარტიებს კიდევ სამი პარტია დაემატა - "მწვანეთა პარტია", "ქართული დასი" და "ევროპელი დემოკრატები".

ცესკო-ს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელ არჩილ ანასაშვილის ინფორმაციით კი, კენჭისყრის შედეგების გასაჩივრების ვადა შეიცვალა. მისი თქმით, აქამდე არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს კენჭისყრის შედეგების გასაჩივრება ორი კალენდარული დღის განმავლობაში შეეძლოთ, ახალი წესის თანახმად, გასაჩივრება 3 დღის განმავლობაში იქნება შესაძლებელი.

სხდომაზე საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკიც დაამტკიცეს, რომელიც საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობას დღეების მიხედვით განსაზღვრავს.

რაც შეეხება საარჩევნო სუბიექტების საკითხებს, იმის გამო, რომ საპარლამენტო არჩევნები 1-ელ ოქტომბერს გაიმართება, საარჩევნო ბლოკების შექმნის ვადა 24 აგვისტომდეა. ცესკო-ს თავმჯდომარის მიერ დარეგისტრირებულმა იმ პარტიებმა, რომლებიც ბლოკის ჩამოყალიბებას აპირებენ, მასში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება უნდა წარადგინონ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

"განათლების რეგიონული ჰაბი"

მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში, კობალაძის ქუჩაზე, კომპანია "ორბი ჯგუფის" 35-სართულიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. პრეზიდენტი მუშებს გაესაუბრა, დაინტერესდა, რა პირობებში უწევთ მუშაობა და რამდენი აქვთ ანაზღაურება.

"ასეთი სისწრაფით მხოლოდ ჩინეთში აშენებენ," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. მისი თქმით, ადრე თუ სულ თურქები აშენებდნენ ბათუმში, დღეს შენება ქართველებმაც ისწავლეს და მუშაობის ტემპი გაორმაგდა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქართული სამშენებლო კომპანიების მუშაობის ხარისხი ძალიან მაღალია და აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, საქართველოს კომპანიებმა მშენებლობები საზღარგარეთაც დაიწყონ. მიხეილ სააკაშვილმა ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდი გაიხსენა და აღნიშნა, რომ მაშინ ბათუმში იმ დროს არაფერი შენდებოდა. "ბოლო დროს, როდესაც ვნახე ასლანი, ეს იყო ცუდ დროში, მითხრა, ერთ სახლს გაჩუქებ ზღვის პირას და დამანებე თავიო. ის სახლი, რა თქმა უნდა, არ გამოვართვი, მაგრამ სამაგიეროდ, ნახეთ რამდენი სახლი გვაქვს ახლა და ეს ეკუთვნის ძალიან ბევრ ადამიანს," - განაცხადა სააკაშვილმა და სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებს მოუწოდა, ხალხი არ მოატყუონ და რეპუტაცია არ გაიფუჭონ.

სააკაშვილის შეფასებით, ბათუმი განათლების ევროპული რეგიონული ჰაბი ხდება.

პრეზიდენტმა განსაკუთრებით აღნიშნა პედაგოგების საჭიროება იმ ფონზე, რომ ბათუმში უდიდესი მასშტაბის საგანმანათლებლო დაწესებულებები შენდება.

"ბათუმი ხდება ევროპული მასშტაბის საგანმანათლებლო ცენტრი. აქ, აღმოსავლეთ ევროპაში პირველად, იხსნება სრულფასოვანი ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტი. ჩვენ ასევე მივდივართ იმ ეტაპამდე, რომ ევროკომისია გახსნის ევროპულ უნივერსიტეტს, როგორიც არის ბელგიაში, ბრიუგეში," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ძვირფასო მკითხველო

7 წლის ლუკა წულეისკირს, რომელიც დაავადებულია- **მწვავე ლიმფოიდური ლეიკემიით** და ამჟამად გადის მკურნალობას ინტენსიური ქიმიოთერაპიის კურსით გერმანიაში, ქალაქ ფრაიბურგის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკაში აუცილებლად ესაჭიროება **ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელი ოპერაცია.**

გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ პატარა ლუკას მდგომარეობა, გამოიჩინოთ გულისხმიერება და შესაძლებლობის ფარგლებში, **ნებისმიერი ოდენობის** (მცირეოდენი) შენატანებით დაგვეხმაროთ ოპერაციისთვის საჭირო თანხების შეგროვებაში.

საბანკო რეკვიზიტები:
ბანკის კოდი: **KSBGGE22**
ბანკის დასახელება: **კორ-სტანდარტ ბანკი**
ანგარიში: **GE19KS0000000360800511**
მიმღები: **ა(ა)იპ ლუკა წულეისკირის დახმარების ფონდი**

ასევე შესაძლებელია ჩარიცხვა განხორციელდეს ნებისმიერი მობილური ოპერატორის მეშვეობით (1 ზარის ღირებულებაა 1 ლარი) შემდეგ ნომერზე:

0 901 500 552

წინასწარ გიხდით დიდ მადლობას თქვენი თანადგომისა და დახმარებისთვის.

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!
ლიცენზირებული რეგისტრატორი
სს „კავკასრეესტრი"
გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.
მომსახურების საფასური 17 ლარიდან.
თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

სამართალდამრღვევი შემომწირველების ქონება აუქციონზე

პირველი გვერდიდან

დაჯარიმებულთა შორის ერთ-ერთი, "ნაციონალური მოძრაობის" წევრი ბეჟან ოდიშვილია, რომელსაც 25 000 ლარის ჯარიმა დაეკისრა. ბეჟან ოდიშვილის გარდა, სამართალდამრღვევად ცნობილმა სხვადასხვა პარტიის დაჯარიმებულმა 16-მა პირმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციოში გაასაჩივრა. სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის გამო, დაჯარიმებულებს ქონება დაუყადაღეს.

საელმწიფო აუდიტის სამსახურმა პოლიტიკური პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, პოლიტიკური გაერთიანებებისთვის შეწირული თანხების წარმომავლობის დასაბუთებულობის დასადგენად, პირველ ეტაპზე 32 პირი მიიწვია. სულ გამოკითხა - 27 პირი, მათ შორის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" - 6, "თავისუფალი საქართველოდან" - 4, "ეროვნული ფორუმიდან" - 8, "კონსერვატიული პარტიიდან" - 5, "რესპუბლიკური პარტიიდან" - 2, "ქართული ოცნებიდან"- 2.

როგორც აუდიტის სამსახურში განმარტეს, გამოკითხვის შედეგად, შემოწირულობის კანონიერება მხოლოდ 10-მა პირმა დაასაბუთა.

„ქართუ ბანკმა„ პროკურატურაში იჩივლა

"ქართუ ბანკმა" მთავარ პროკურატურაში და თბილისის პროკურატურაში ბანკის ყოფილი იძულებით მმართველის ვლადიმერ უგულავას წინააღმდეგ განცხადება შეიტანა. ბანკის წარმომადგენლები ვლადიმერ უგულავასა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მრჩეველის ირაკლი ზარქუას მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას მოითხოვენ. მიზეზი, 50 მილიონის დოლარის ღირებულების სესხის ის ხელშეკრულებებია, რომელიც "ქართუ ბანკის" იძულებით მმართველობის პერიოდში მაშინდელმა მმართველმა გააფორმა.

"ბანკის იძულებითი მმართველობის პირობებში, ბანკის გენერალური დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები მოქმედებდენ არა იმ მიზნით, რომ ბანკისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილებები მიეღოთ და მიღებული შემოსავლები სახელმწიფო ბიუჯეტში გადაერიცხათ, არამედ იმ განზრახვით, რომ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წამგებიანი და ზიანის მომტანი ყოფილიყო და ბანკს უახლოეს მომავალში, ფინანსური თუ სხვა სახის პრობლემები შექმნოდა," - განაცხადა "ქართუ ბანკის" იურისტმა მზია თოდუამ გუშინ განართულ ბრიფინგზე.

"ქართუ ბანკის" 100 პროცენტი, "ქართუ ჯგუფის" 100 პროცენტთან და "პტოკრედიტ ბანკის" 21 პროცენტთან ერთდ სასამართლომ ივანიშვილის პოლიტიკური საქმიანობის გამო ჯერ დააყადაღა, შემდეგ აღსრულების ბიურომ იგი ნულოვან აუქციონზე გაიტანა, სადაც ვერ გაიყიდა და ამის შემდეგ იძულებით მმართველობაზე გადაიყვანა. ამ დროს შეიცვალა ბანკის მმართველი - ნოდარ ჯავახიშვილი "ქართუსა" და "პროგრეს" ბანკში იძულებითმა მმართველმა კახა უგულავამ შეცვალა.

ამ ოპერაციიდან დაახლოებით სამ კვირაში, კახეთში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა დაზარალებულთა დასახმარებლად სასამართლოს მიერ მითითებულ ანგარიშზე 80 მილიონი ლარი გადარიცხა და ამით ქონებაც დაიბრუნა. შესაბამისად, "ქართუ ბანკში" დაბრუნდა ძველი მმართველი ნოდარ ჯავახიშვილიც. ჯავახიშვილის თქმით, ამის შემდეგ გაირკვა, რომ "ქართუს" კანონის სრული დარღვევით, ოთხი დეველოპერული კომპანიითვის სესხლის სახით 50 მილიონი ლარის გადახდის ვალდებულება აქვს აღებული. ამას ბანკის წარმომადგენლები იძულებითი მმართველების მხრიდან, ბანკის მიზანმიართული გაკოტრებით ხსიან, რადგან ბანკს ამ თანხის გაცემის შესაძლებლობა ფიზიკურად არ აქვს.

"სასამართლოს განჩინების თანახმად, უგულავა ვალდებული იყო აღსრულებას დაქვემდებარებული ქონება ემართა იმდაგვარად, რომ კრედიტორის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილებულიყო. იმის ნაცვლად, რომ კეთილსინდისიერად შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა და ემოქმედათ როგორც ბანკის ასევე სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მათ მიიღეს ბანკისთვის ზიანის მომტანი გადაწყვეტილება ოთხი დეველოპერული კომპანიისთვის, ჯამში 50 000 000 აშშ დოლარის ფაქტობრივად არაუზრუნველყოფილი კრედიტების გაცემის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საზიანო შედეგები იმთავითვე ცნობილი იყო გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის, ვინაიდან გადაწყვეტილების მიღების დროისთვის ბანკს საკრედიტო ვალდებულებების შესასრულებლად არც შესაბამისი ფინანსური რესურსი გააჩნდა და არც რაიმე სახის შეთანხმება რომელიმე წყაროდან აღნიშნული რესურსის შესაბამის ვადაში გარანტირებულად მოსაზიდად," - განმარტავს თოდუა.

სწორედ ამის გამო მიმართეს "ქართუ ბანკის" იურისტებმა პროკურატურას და საქმის სამართლებრივი შეფასება მოითხოვეს.

"პროკურატურას ვადები არ აქვს. რეაგირებას მანამდე დაველოდები, სანამდე ამის შესაძლებლობას მექნება. ჩვენ პასუხსაც ვთხოვთ, მაგრამ ალბათ, პასუხსაც არ მოგვცემენ," - განაცხადა "ქართულ ბანკის" პრეზიდენტმა ნოდარ ჯავახიშვილმა.

საუკეთესო ინტეგრირებული და სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკისათვის

თიბისი ბანკი ჟურნალმა Global Finance დააჯილდოვა

ჟურნალმა Global Finance მსოფლიოში საუკეთესო ინტერნეტ ბანკებს შორის ქართული ბანკი წელს პირველად დაასახელა. ჟიურის გადაწყვეტილებით, თიბისი ბანკი დაჯილდოვდა ერთდროულად **ორ ნომინაციაში:** ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის მასშტაბით როგორც ***საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი*** , ხოლო საქართველოს მასშტაბით, როგორც ***საუკეთესო სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი .***

გამარჯვებული ბანკები შეირჩა ინტერნეტ ბანკის ფუნქციონალურობის, დიზაინის და ინტერნეტ მომხმარებლის მოზიდვის სტრატეგიის ეფექტურობის მიხედვით. "რეგიონალური აღიარება მნიშვნელოვანი წარმატება და კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ჩვენი სტრატეგიული მიზნისკენ - გვქონდეს რეგიონში საუკეთესო ინტერნეტ ბანკი", - აცხადებს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი, ვახტანგ ბუცხრიკიძე.

თიბისი ბანკთან ერთად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში გამარჯვეს: CITI Bank - *საუკეთესო ვებ დიზაინისა და გადასახადების სისტემისთვის,* OTP Bank - *საუკეთესო მობაილ ბანკისა და სოციალურ მედიაში ჩართულობისთვის,* და Bank Millennium - *საუკეთესო ონლაინ სადეპოზიტო, საკრედიტო და საინვესტიციო პროდუქტებისთვის.*

2012 წელს ეს მეოთხე ჯილდოა თიბისისთვის. ბანკმა უკვე მიიღო სამი წამყვანი გამომცემლობის Global Finance, EMEA Finance და Euromoney-ის ჯილდოები ქვეყნის მასშტაბით საუკეთესო ბანკის ნომინაციებში.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

საარჩევნო პროცედურები - ცესკო-მ პირველი სხდომა გამართა

პირველი გვერდიდან

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება ერთსა და იმავე არჩევნებზე ამავდროულად სხვა საარჩევნო ბლოკში შედიოდეს ან არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდეს.

კენჭისყრამდე არაუგვიანეს 30-ე დღისა ცესკო რეგისტრირებული საარჩევნო ბლოკების სიას განცხადებების წარდგენის რიგის მიხედვით პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს. ამასთან, ღიაა იმ საარჩევნო ბლოკების სია, რომლებსაც რეგისტრაციაზე უარი უთხრეს ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა. ცესკო რეგისტრაციის გაუქმების მიზეზებსაც განმარტავს.

მაჟორიტარი კანდიდატები და პარტიული სიები კი არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა 1-ელ სექტემბრამდე უნდა წარადგინონ. პარტიულ სიაში მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის შეყვანაც შეიძლება. სიაში საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატთა რაოდენობა 100-ზე ნაკლები და 200-ზე მეტი არ უნდა იყოს. საარჩევნო კოდექსი მაჟორიტარ კანდიდატად დარეგისტრირების უფლებას ამომრჩეველთა 5-კაციან საინიციატივო ჯგუფსაც აძლევს.

საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერიც 1-ელ სექტემბრამდე განისაზღვრება. წინასწარ ცნობილია მხოლოდ "ნაციონალური მოძრაობის" (5), "ქრისტიან-დემოკრატების" (10) და კოალიცია "ქართული ოცნების" (7) ნომრები. საარჩევნო კოდექსის თანახმად, ნომრის პირველად არჩევის უფლება იმ პოლიტიკურ გაერთიანებას აქვს, რომელმაც წინა საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით ყველაზე მეტი ხმა მიიღო. ამავე წესით, ნომრის არჩევის უფლება თანმიმდევრულად აქვთ წინა საპარლამენტო არჩევნების შედეგებით მეორე და მესამე ადგილებზე გასულ პოლიტიკურ გაერთიანებებს. მათ უფლება ენიჭებათ, წინა საპარლამენტო არჩევნებზე მიკუთვნებული რიგითი ნომერი დაიტოვონ ან აირჩიონ შესაბამისად მეორე ან მესამე ნომერი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნომერი, რომელიც მათ წინა საპარლამენტო არჩევნებზე ჰქონდათ, მათზე უკეთესი შედეგის მქონე პოლიტიკურ გაერთიანებას უკვე მიაკუთვნეს. ხოლო, თუ წინა საპარლამენტო არჩევნებში საარჩევნო ბლოკს რიგითი ნომერი მინიჭებული ჰქონდა, ამ ნომრის გამოყენების უფლება ბლოკის წევრთა ჩამონათვალში პირველად დასახელებულ პარტიას ეძლევა. საქმე ის არის, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გაერთიანებული ოპოზიციის საარჩევნო ბლოკის სუბიექტთა სიაში "კონსერვატიული პარტია" პირველ ნომრად ეწერა. ამიტომ, ზვიად ძიძიგურის პარტია ყოფილი ბლოკის ნომერს N7-ს შეინარჩუნებს. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, ბლოკის წესდებაში უნდა ჩაიწეროს, რომელი პარტიის ნომრით ისარგებლებს ახლად შექმნილი ბლოკი. შესაბამისად, კოალიცია "ქართული ოცნება" N7 იქნება.

არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან არჩევნების დღემდე განსაკუთრებული რეგულაციები მოქმედებს სატელევიზიო მაუწყებლებისთვის. "მასთ ქერის" და "მასთ ოფერის" პრინციპი ხვალ ამოქმედებული უნდა იყოს. ნორმა საკაბელოების მიერ მაუწყებლის სავალდებულო ტრანზიტსა და სიგნალის მიწოდებას გულისხმობს. ეს პრინციპები მე-9 არხზე," "მაესტროსა" და "კავკასიაზეც" გავრცელდება.

საარჩევნო კოდექსის თანახმად, საკაბელო ოპერატორებმა 3 დღეში უნდა უზრუნველყონ ტელეკომპანიების სიგნალის გავრცელება. ამ თხოვნით კი ტელეკომპანიებმა უნდა მიმართონ საკაბელო ოპერატორებს. თუ 3 დღის ვადაში ოპერატორებმა ტელეკომპანია ბადეში არ ჩასვეს, ტელეკომპანიას კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში გასაჩივრების უფლება აქვს. **"სანქციები მკაცრია. პირველ ჯერზე გაფრთხილებაა, მეორედ - მთლიანად ავტორიზაციის შეჩერება,"** - განმარტავს კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის უფროსი კახი ყურაშვილი.

ედპ-ს მინიშნებას "ქართული ოცნება" პასუხობს

ლალი ცერცვაძე

"ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში» აცხადებენ, რომ რუსეთის ფედერაცია საქართველოში შემოჭრას გეგმავს და ამის საბაბს კოალიცია "ქართული ოცნება" იძლევა.

ბაჩუკი ქარდავას ინფორმაციით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამხედრო ძალების გადაჯგუფებები და კონცენტრაცია მიმდინარეობს; საქართველოსთან ახლოს, შავ ზღვაში კი სადესანტო გემებს განალაგებენ. ედპ-ს შეფასებით, ჯარების კონცენტრირების მიზანი რუსეთის რეგიონული ინტერესებია.

"ახლა საარჩევნო სიებზე ციებ-ცხელებაა და არავის აინტერესებს, რა ხდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, მაგრამ არსებობენ ქართული პოლიტიკური პარტიები, რომლებიც უკვე ემზადებიან, რუსეთს საქართველოში შემოჭრის საბაბი მისცენ," - განაცხადა ქარდავამ და განმარტა, რომ "ქართული ოცნების" კოორდინატორები და აქტივისტები მოსახლეობასთან შეხვედრისას ამბობენ, რომ არჩევნების არაღიარების შემთხვევაში ქუჩაში გამოსვლას აპირებენ და მათ რუსეთის ჯარი დაუჭერს მხარს.

ქარდავამ ხელისუფლებას მოუწოდა, რუსეთთან ურთიერთობას ყურადღება მოაქციოს. მისი თქმით, მომავალი არჩევნები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე, მაგრამ რუსეთი ვერასდროს შეურიგდება იმას, რომ საქართველო ამ ორგანიზაციის წევრი გახდეს.

კოალიცია "ქართული ოცნების" პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ლიდერის განცხადებას აბსურდულს უწოდებს და ამბობს, რომ "ქართული ოცნება" ყველაფერს გააკეთებს, რათა არჩევნებმა მშვიდობიან ვითარებაში ჩაიაროს.

"ყველა განცხადების მიუხედავად, ჩვენ გვაქვს ჩვენი გეგმა, რომლის მიხედვითაც ვმუშაობთ ამ ხნის განმავლობაში. ჩვენი მიზანია, აბსოლუტურად მშვიდობიანად და დემოკრატიულად გავიმარჯვოთ არჩევნებში და არჩევნებს არანაირი ექსცესი არ მოჰყვეს. იმედი გვაქვს, რომ ხელისუფლებაც იმავეს ფიქრობს. თუ ეს ასე არ მოხდა, ქუჩაში გამოსვლა ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა და შეიძლება, ეს უფლებაც გამოვიყენოთ, ამაზე ორი თვით ადრე წინასწარ ვერაფერს ვიტყვი," - განაცხადა ფანჯიკიძემ.

უიღბლო ოლიმპიელის ტყუილ-მართალი

ლალი ცერცვაძე

"ქართული ოცნება" სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ბეთქილ შუკვანზე ზეწოლაში ადანაშაულებს. კოალიციის პრესსპიკერის თქმით, ლადო ვარძელაშვილისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ ქართველი ოლიმპიელი აპირებდა, თავისი შესაძლო გამარჯვება ივანიშვილისთვის მიეძღვნა და ამის გამო ძიუდოისტზე ზეწოლას ახორციელებდნენ.

მაია ფანჯიკიძის თქმით, შუკვანს უცენზურო სიტყვებით ქართული დელეგაციის ლონდონში მგზავრობისას თვითმფრინავშივე მიმართავდნენ და ურჩევდნენ, "ქართული ოცნებისთვის" მხარი არ დაეჭირა.

ოლიმპიადაზე პირველი შეჯიბრი შუკვანმა მოიგო, მეორე შეჯიბრში კი დამარცხდა. ფანჯიკიძის თქმით, სპორტსმენმა მიიჩნია, რომ მსაჯები უსამართლოდ მოექცნენ. ძიუდოისტმა რეაგირებისთვის ქართულ დელეგაციას მიმართა, თუმცა დახმარება ვერ მიიღო.

ბეთქილ შუკვანი საქართველოში უკვე დაბრუნდა. მისი თქმით, ოლიმპიური სოფლიდან წამოსვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ქართული დელეგაციის წევრმა გია უდესიანმა ნასვამ მდგომარეობაში მოინდომა მასთან შეხვედრა.

დამარცხების შემდეგ სასტუმროში რომ მივედით, გია უდესიანმა 10 კაცთან ერთად მომაკითხა. ისინი ნასვამები იყვნენ. მე ამ ხალხთან შეხვედრას თავი ავარიდე, ფანჯრიდან გადავხტი და გავიქეცი," - განაცხადა შუკვანმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე.

შუკვანი აცხადებს, რომ პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერა გამოუცხადა. "ფსიქოლოგიურად მომშალეს," - აცხადებს ძიუდოისტი და დასძენს, რომ ფიზიკურად კარგ ფორმაში იყო.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, საინფორმაციო სააგენტო news.ge-სთან საუბრისას, შუკვანზე ზეწოლის ფაქტი უარყო. ლადო ვარძელაშვილის თქმით, ოლიმპიურ სოფელში ფიზიკურად ვერ მოხერხდებოდა ძიუდოისტის დაშინება, რადგან სპოტსმენები და დელეგაციის წევრები სხვადასხვა ადგილას იყვნენ განაწილებულნი.

თამაშის დროს ტრიბუნაზე ვისხედით და ჩვენ რა უნდა გვექნა, ხმის ამოღება მხოლოდ მწვრთნელსა და ექიმს შეეძლოთ. მე ტატამზე ხომ არ ავვარდებოდი. ორთაბრძოლა პრაქტიკულად მოგებული ჰქონდა, რადგან დამთავრებამდე 5 წამი იყო დარჩენილი. მას მხოლოდ დრო უნდა გაეყვანა, მაგრამ ბოლო წამებში იპონზე დააგდო მოწინააღმდეგემ," - განცხადა ვარძელაშვილმა უსამართლო მსაჯობაზე პასუხად.

ვარძელაშვილი უარყოფს ინფორმაციას, რომ მას ბეთქილ შუკვანთან რამე სახის კონფლიქტი ჰქონდა.

რადგან ასეთ განცხადებებს აკეთებს ჩვენ მიმართ, არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ ახლა ვიტყვი: გერმანიაში ტურნირზე ვიყავით და ბეთქილ შუკვანმა, ერთ-ერთ სპორტსმენთან ერთად, მაღაზიიდან ნივთები მოიპარა, მაგრამ ხელი დავაფარე და არსად მითქვამს. მის მიმართ აგრესია რომ მქონოდა, ამას არ გავაკეთებდი," - განაცხადა ვარძელაშვილმა.

ბეთქილ შუკვანს სიცრუეში ადანაშაულებს ოლიმპიური კომიტეტის პრესატაშე კახა ბერიძეც. ის 100 პროცენტით გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ძიუდოისტმა ოლიმპიური სოფელი ფანჯრიდან გადმოხტომის გზით დატოვა. კახა ბერიძის თქმით, ქართველი სპორტსმენები მე-8 სართულზე ცხოვრობენ, იქიდან გადმოხტომის შემთხვევაში კი, მინიმუმ, თავის ფეხით აეროპორტში ვეღარ მივიდოდა.

მისი თქმით, გეგმის მიხედვით, ბეთქილ შუკვანი, ძიუდოისტთა გუნდის სხვა წევრებთან ერთად, თბილისში 4 აგვისტოს უნდა დაბრუნებულიყო, თუმცა შვილის ავად გახდომა მოიმიზეზა და თბილისში წამოსვლა ნაადრევად გადაწყვიტა. ბერიძის თქმით, ამის შემდეგ ოლიმპიურმა კომიტეტმა მას ბილეთის აღება და ხარჯების ანაზღაურება შესთავაზა, რაზეც შუკვანმა უარი განაცხადა.

საქართველოში წვრთნებზე მყოფი ლატვიელი კაპრალი გარდაიცვალა

საქართველოში წვრთნებზე მყოფი ლატვიელი კაპრალი ორგანიზმის გადახურების შედეგად სააავადმყოფოში გარდაიცვალა. ამის შესახებ სააგენტო "დელფი" ლატვიის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება.

სააგენტოს ცნობით, ლატვიის შეიარაღებული პირველი ქვეითი ბატალიონის კაპრალი იანის ვოიტკევიჩი საქართველოში მიმდინარე სამხედრო-სამთო სწავლებაში მონაწილეობდა და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა 25 ივლისს გაუარესდა.

იანის ვოიტკევიჩი თავდაპირველად გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანეს, 27 ივლისს კი გერმანიის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი დიმიტრი შაშკინი გუშინ თავის ლატვიელ კოლეგას დაუკავშირდა და კაპრალის გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვა.

სამინისტრო დევნილთა საჭიროებების კვლევას იწყებს

დევნილთა სამინისტრო დევნილთა საჭიროებების შესწავლას ქუთაისიდან იწყებს. პროგრამის მიზანი მათთვის დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაა. "მიზნად ვისახავთ სოფლად მცხოვრები დევნილებისთვის მეტ ხელშეწყობას, რათა ისინი უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულები სოფლის მეურნეობაში. აუცილებელია, გაიზარდოს კომუნიკაცია დევნილებსა და სამინისტროს შორის, რათა მომავალში შევძლოთ ეფექტური პროგრამების განხორციელება," - აღნიშნა მინისტრმა დალი ხომერიკმა. დევნილთა საჭიროებების შემსწავლელი პროგრამის ფარგლებში, გამოკითხვების საწარმოებლად, 185 ინტერვიუერი გადამზადდა.

საერთაშორისო დამკვირვებლები არჩევნებზე

ქართულმა მხარემ 1-ელ ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებზე რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციისგან დამკვირვებლების გამოგზავნაზე თანხმობა მიიღო. ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ჯალაღანიამ განუცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 7 თვის წინ დაუგზავნა მოსაწვევები საერთაშორისო ორგანიზაციებს, მათ შორის ეუთო-ს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ოფისს, ევროპარლამენტს, ევროპის საბჭოს, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეას, პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებს, ორგანიზაციებს, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს, აფრიკის კავშირსა და ა.შ.

"პირველი თანხმობები გვაქვს. ვიცით, რომ ეუთო გამოაგზავნის როგორც ხანგრძლივ, ასევე მოკლევადიან დამკვირვებლებს. გვაქვს გამოხმაურება ევროპის საბჭოდან, ევროპარლამენტიდან, ასევე რამდენიმე პარტნიორი ქვეყნიდან," - განაცხადა დავით ჯალაღანიამ.

მაია ფანჯიკიძე, შესაძლოა, პარტიულ სიაში გამოჩნდეს

"ქართული ოცნების" სპესსპიკერ მაია ფანჯიკიძის პარტიულ სიაში ჩასმის საკითხი კოალიციაში აქტიურად განიხილება. ამის შესახებ თავად ფანჯიკიძემ გუშინდელ ბრიფინგზე განაცხადა.

ამ დროისთვის "ქართული ოცნების" პარტიული სიის შემადგენლობა ცნობილი არ არის, თუმცა მაჟორიტარების შემადგენლობა უკვე დასახელდა.

ქართველ მეზღვაურებს სახელფასო დავალიანებები გადაუხადეს

თურქეთში გემ "გრანდ აილენდზე" მყოფ ექვს ქართველ მეზღვაურს გემთმფლობელმა კომპანიამ სახელფასო დავალიანებები აუნაზღაურა. ამის შესახებ news.ge თურქეთში საქართველოს საკონსულოს ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყება.

"გუშინ დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ ხელფასები აიღეს, როგორც ვიცით, დღეს უკვე საქართველოში უნდა წამოსულიყვნენ," - აცხადებენ საკონსულოში.

თურქეთში მყოფი ქართველი მეზღვაურები სახელფასო დავალიანებების ანაზღაურებას რამდენიმე თვის განმავლობაში ითხოვდნენ. მეზღვაურების დამსაქმებელი ლაურა ჩადუნელი კი აცხადებდა, რომ გემთმფლობელ კომპანიას ფინანსური პრობლემები ჰქონდა, თუმცა მეზღვაურებს თანხის ანაზღაურებას პირდებოდა.

17 ივლისს საქართველოს საკონსულოსთან გაფორმებულ წერილობით შეთანხმებაში კომპანიამ პირობა დადო, რომ 3 აგვისტომდე ყველანაირ ფინანსურ დავალიანებას აანაზღაურებდა.

ფილიპინებზე ტაიფუნ საოლას 23 ადამიანი ემსხვერპლა

ტაიფუნ საოლას, რომელიც ფილიპინებს გასულ უქმეებზე დაატყდა თავს, 23 ადამიანი ემსხვერპლა. დაშავდა ხუთი ადამიანი. ქვეყნის კატასტროფების კოორდინაციის ეროვნული ცენტრის განცხადებით, მოხერხდა 129 ადამიანის გადარჩენა, რომელთა უმრავლესობა მეთევზეები არიან. დადაქალაქ მანილასა და სხვა ქალაქებში ევაკუაციის 44 ცენტრია გახსნილი. როგორც აღნიშნავენ, ფილიპინებზე წვიმა მხოლოდ გუშინ შეჩერდა. ტაიფუნი ტაივანისკენ გადაადგილდა და მის გაგრძელებას ჩინეთში ელოდებიან.

ავღანეთში რვა შეიარაღებული მებრძოლი მოკლეს

ავღანეთის სპეცსამსახურების ცნობით, უსაფრთხოების ძალებთან ურთიერთსოლების დროს დაიღუპა რვა შეიარაღებული მებრძოლი, რომლებიც დედაქალაქ ქაბულში თავდასხმებს გეგმავდნენ.

ცოტა ხნის წინ კი ქვეყნის უსაფრთხოების ძალებმა ქალაქის აღმოსავლეთით ის სახლი აღმოაჩინეს, სადაც მებრძოლები აფარაბდნენ თავს. სპეცსამსახურების ცნობით, ისინი ქაბულის ცენტრში მაღალ შენობაზე გეგმავდნენ თავდასხმას. სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლებმა მათ თავშესაფარში სამი ავტომანქანა, ასაფეთქებელი მოწყობილობები და საბრძოლო მასალები აღმოაჩინეს.

ეგვიპტის ახალი კაბინეტი მალე გამოცხადდება

ეგვიპტე ახალ მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობას ოფიციალურად მალე გამოცხადებს. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ახალი კაბინეტი, ძირითადად, ტექნოკრატებით დაკომპლექტდება. იქნება სულ მცირე, ორი მინისტრი წინა მთავრობიდან და რამდენიმე ისლამისტი. ყოფილი სამხედრო მმართველი მოჰამედ ჰუსეინ ტანტაუი თავდაცვის მინისტრის თანამდებობას დაიკავებს. პრემიერ-მინისტრ ჰიშამ ქანდილის თქმით, მინისტრების დანიშვნის მთავარი კრიტერიუმი "კომპეტენტურობაა."

პრეზიდენტ მუჰამედ მურსის მიერ ქანდილის პრემიერად დანიშვნამ ბევრი მიმომხილველი გააკვირვა. როგორც სახელმწიფო არხები აცხადებენ, საგარეო საქმეთა მინისტრი მოჰამედ ქამალ ამრი და ფინანსთა მინისტრი მუმთაზ ალ-სიადი თანამდებობებს შეინარჩუნებენ.

ეგვიპტეში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის შეტაკება მოხდა

ეგვიპტის ხელისუფლების განცხადებით, კაიროსთან ახლოს ქრისტიანების ეკლესიასა და სახლებზე მუსლიმების თავდასხმის შედეგად, სულ მცირე, 16 ადამიანი დაშავდა. "ბი-ბი-სი"-ს ცნობით, სოფელ დაშურში, რომელიც დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს, მღელვარება მას შემდეგ დაიწყო, რაც ერთი მუსლიმი პარასკევის შეტაკების დროს მიღებული ჭრილობის გამო გარდაიცვალა.

ეგვიპტეში ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის დაპირისპირება ბოლო ერთი წლის განმავლობაში არცთუ იშვიათია. თუმცა, მუჰამედ მურსის გაპრეზიდენტების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა. ოთხშაბათს დაშურში მუსლიმების შესაჩერებლად პოლიციამ ცრემლსადენი გაზიც გამოიყენა. ხელისუფლების წარმომადგენლების თქმით, მუსლიმებმა ქრისტიანთა რამდენიმე სახლი და პოლიციის სამი მანქანა დაწვეს. ოფიციალური ინფორმაციით, 16 დაშავებულს შორის ათი პოლიციის წარმომადგენელია. დაძაბულობა პარასკევს დაიწყო, როდესაც მუსლიმმა კლიენტმა მისი ტანისამოსის გაფუჭებაში დაადანაშაულა სამრეცხაოს ქრისტიანი თანამშრომელი.

"ესპანეთში "ალ კაიდას" სამი ეჭვმიტანილი დააკავეს"

ესპანეთის პოლიციის წყაროს ცნობით, ქვეყნის სამხრეთით "ალ კაიდას" სამი ეჭვმიტანილი დააკავეს, რომლებიც ასაფეთქებელ მოწყობილობებს ფლობდნენ. რადიო Cadena Ser-ს ცნობით, ორი ჩეჩენი და ერთი თურქი ეჭვმიტანილი ქვეყნის სამხრეთით აიყვანეს. "როიტერის" ცნობით, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია. ცნობისათვის - 2004 წელს ესპანეთში "ალ კაიდას" მიერ განხორციელებულ თავდასხმას 191 ადამიანი ემსხვერპლა.

ჩინეთში უიგურები გაასამართლეს

სასამართლომ ჩინეთში 20 აქტივისტს სინძიან-უიგურეთის ავტონომიური ოლქიდან, 15-15 წელი მიუსაჯა სეპარატიზმის, ტერორიზმისა და რასობრივი სიძულვილის გაღვივებისთვის. შეტაკებები მუსლიმან უიგურებსა და ეთნიკურ ჩინელებს შორის ამ ოლქში 2009 წელს მოხდა, რასაც 140-ზე მეტი ადამიანი შეეწირა. ჩინეთის ხელისუფლებას ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციები სისტემატიურად სდებენ ბრალს სინძიანის მკვიდრი მოსახლეობის იმ წარმომადგფენლების უფლებების დარღვევაში, რომლებიც მანიფესტაციების დარბევის მკაცრ მეთოდებს აპროტესტებენ. ჩინეთის რეგიონულმა ხელისუფლებამ კი გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც «ძალადობა ინსპირირებული იყო და იმართებოდა უცხოეთიდან». ეს არის ჩინეთის ოფიციალური პოზიცია, რომელსაც ხელისუფლება მუდმივად იმეორებს. უიგურების მიმართ ნებისმიერი პრობლემის წარმოქმნისას ისინი ბრალს სდებენ უიგურების საერთაშორისო კონგრესს, რომელიც უცხოეთში ფუნქციონირებს და ჩინეთის ხელისუფლების ოპოზიციად მოიაზრება.

მოამზადა თამთა კახაძემ

ამერიკის ახალი სანქციები ირანისთვის

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ბენიამინ ნეთანიაჰუ და ლეონ პანეტა

პირველ რიგში, ხელი მოეწერა განკარგულებას, რომელიც ეხება ახალი სანქციების დაწესებას ირანის ენერგეტიკულ და ნავთობპროდუქტების კომპანიებზე, ხოლო მეორე - გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რათა პასუხისმგებლობა დაეკისროთ იმ ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც ფულად გზავნილებს ახორციელებენ იირანთან დაკავშირებულ ბანკებში.

თეთრი სახლის ადმინისტრაციის განცხადებით, აშშ-მ შეძლო, შეექმნა სანქციების ყველაზე მძიმე რეჟიმი ირანის წინააღმდეგ. სანქციებმა უკვე "მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ირანსა და მის ეკონომიკაზე," - განაცხადა პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ბენ როდსმა.

თავის მხრივ, განცხადება გააკეთა პენტაგონის ხელმძღვანელმა ლეონ პანეტმაც. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ირანი არ დათანხმდება ბირთვული პროგრამის საკითხის განხილვას, აშშ შეუძლია, მიიღოს ზომები, რომლებიც ხელს შეუშლს ატომური ბომბის შექმნას. "ჩვენ შემუშავებული გვაქვს რიგი ზომებისა, რომლებიც არ დაუშვებს, რომ ეს მოხდეს," - განაცხადა მან თავის ისრაელელ კოლეგა ეჰუდ ბარაკთან საუბრის დროს. პანეტამ არაერთხელ აღნიშნა, რომ აშშ მზად არის, გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, მათ შორის სამხედრო მოქმედებებიც, იმ შემთხვევაში, თუ სანქციები და დიპლომატია ირანის საკითხს ვერ მოაგვარებს.

სანქციების შემოღების შესახებ კანონპროექტმა, რომელსაც კონგრესის ორივე პალატამ დაუჭირა მხარი, უნდა დააწესოს საერთო კონტროლი პროცესებზე, რომლებიც აქამდე სრულად არ კონტროლდებოდა. სანქციები ვრცელდება იმ კომპანიებსა და პირებზეც, რომლებიც თანამშრომლობენ ირანის ხელისუფლებასთან ურანის მოპოვების საკითხში, ირანზე ყიდიან ან აქირავებენ ნავთობის ტანკერებს. დოკუმენტი ითვლისწინებს სანქციებს ყველას წინააღმდეგ, ვინც თანამშრომლობს ირანთან საწვავის, ნავთობპროდუქტის და გაზის სექტორში. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს სანქციებს იმ პირებისა და კომპანიების წინააღმდეგ, რომლებიც ეხმარებიან ირანს რადიო და სატელევიზიო სიგნალების მოწყობილობის, სათვალთვალო საშუალებების და ასევე დემონსტრაციის დაშლის დროს გამოსაყენებელი სხვადასხვა იარაღის ყიდვაში.

დოკუმენტს "არსებითად "შავ სიაში" შეჰყავს ირანის ენერგეტიკული სექტორი, ასევე ნებისმიერი უცხოური კომპანია, რომელსაც ირანთან რაიმე კავშირი აქვს. გარდა ამისა, კონტროლექტი იძლევა ახალი და უფრო გაფართოებული სანქციების გამოყენების საშუალებას იმ ფინანსური ინსტიტუტების წინააღმდეგ, რომლებსაც ირანთან ბიზნესი ექნებათ. კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ ეს კანონპროექტი მიიღო 421 ხმით 6-ის წინააღმდეგ, ხოლო სენატში ერთხმად გავიდა.

"ბლუმბერგის" ექსპერტების გამოთვლით, ოპეკის ქვეყნებს შორის სიდიდით მესამე ნავთობმომპოვებელი სახელმწიფო ირანი სანქციების გამო კარგავს 133 მილიონ აშშ დოლარს ყოველდღიურად. მას შემდეგ, რაც 1-ელ ივლისს აშშ-მ და ევროკავშირმა შეზღუდვა დააწესეს ირანიდან ნავთობის ექსპორტზე, ნავთობის გატანა ამ ქვეყნიდან 52 პროცენტით შემცირდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ამ წელს ქვეყანა დაკარგავს 48 მილიარდ აშშ დოლარს, რაც მისი ეკონომიკის 10 პროცენტს შეადგენს.

მთლიანობაში, ახალი სანქციები ეკონომიკურ ზარალს მიაყენებს არა მხოლოდ ირანს, არამედ ჩინეთსაც, რომელიც ირანის ნავთობის ძირითადი შემსყიდველია. ოფიციალური პეკინის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება მტკივნეულად აისახება ჩინეთისა და აშშ-ს თანამშრომლობაზე.

აშშ-ს გადაწყვეტილებით კმაყოფილია ისრაელი, თუმცა ებრაელები ნაკლებსავარაუდოდ მიიჩნევენ იმას, რომ სანქციები ირანს ატომურ პროგრამაზე უარის თქმას აიძულებს. მათი აზრით, ირანი საკმაოდ ახლოს არის ატომური იარაღის შექმნასთან. მათ არ სჯერათ, რომ "ექვსეულისა" და ირანის მოლაპარაკებები რამე ხელშესახებ შედეგს მოიტანს. მათი აზრით, ირანი ამ მოლაპარაკებებს იმისთვის აწარმოებს, რომ დრო გაიყვანოს და იარაღის შექმნა დააჩქაროს. ისრაელი მიიჩნევს, რომ ირანის ბირთვული იარაღის განვითარების თავიდან ასაცილებლად აუცილებელლია, პრევენციული დარტყმები მიაყენონ ბირთვულ ობიექტებს და მოუწოდებს ამერიკას, მხარი დაუჭიროს მის ამ აზრს. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ადრე უკვე განაცხადა, რომ ხედავს, როგორ სურს ირანის რეჟიმს, გაანადგუროს ისრაელი და ყველანაირად შეეცდება, ამას შეეწინააღმდეგოს და თავისი ქვეყნის განადგურება არ დაუშვას. სამშაბათს, სატელევიზიო ეთერში გამოსვლის დროს ბენიამინ ნეთანიაჰუმ მიანიშნა, რომ ისრაელმა შესაძლოა, ცალმხრივი მოქმედებები დაიწყოს, მიუხედავად აშშ-ს შეშფოთებისა. "როდესაც საქმე ეხება ჩვენს არსებობას, ჩვენ არ შეგვიძლია, ჩვენი ბედი სხვას მივანდოთ, მაშინაც კი, როცა საქმე ეხება ჩვენს საუკეთესო მეგობარს," - განაცხადა ისრაელის პრემიერ-მინისტრმა.

მიუხედავად დაწესებული სანქციებისა, თეირანი ჯერჯერობით არავითარ დათმობაზე არ წასულა.

ურთიერთბრალდებები სირიაში

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲒᲐᲑᲘᲔᲕᲘ

სირიაში სამთავრობო არმიასა და ამბოხებულებს შორის შეტაკებები ისევ გრძელდება. გასული 3 დღე-ღამის განმავლობაში რეგულარულ და "სირიის თავისუფალ" არმიებს შორის შეიარაღებულ დაპირისპირებას 200-მდე ადამიანი ემსხვერპლა. მათი უმრავლესობა, ძირითადად, ქალაქ ალეპოში გამართულ ბრძოლებში დაიღუპა. ქუჩებში გამართულ ბრძოლებს კი ასადის მომხრეთა სიკვდილით დასჯაც დაემატა, რასაც მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ამბოხებულთა მხრიდან სასტიკი ანგარიშსწორება დაგმო როგორც სირიის ნაციონალურმა საბჭომ, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველმა ორგანიზაციამ "ჰიუმან რაითს უოტჩმა".

ბაშარ ალ-ასადის მომხრეთა დახვრეტა უკვე შეფასდა სამხედრო დანაშაულად. თუმცა, არანაკლები კრიტიკა ისმის პრეზიდენტისა და რეჟიმის მიმართაც. "ამნესტი ინტერნეიშენალი" სირიის სამთავრობო ძალებს ბრალს სდებს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულში. თავის ახალ ანგარიშში ორგანიზაციამ საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა, სირიაში მიმდინარე მოვლენების განხილვა საერთაშორისო სასამართლოში მოხდეს. ადამიანის უფლებათა დამცველები სამთავრობო ძალებს დამკვირვებლებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების, მათ შორის, ბავშვების დახვრეტაში ადანაშაულებენ. მომზადებული დოკუმენტის თანახმად, რომელიც სირიაში თვეების განმავლობაში ჩატარებულ კვლევებსა და წყაროების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებს ეყრდნობა, აღნიშნულია, რომ მოსახლეობას სასტიკად უსწორდება ასადის მილიტარიზებული ფორმირება სახელწოდებით "შაბიჰი". **"ქალაქ ალეპოში შექმნილი ვითარება, რომელიც სამოქალაქო პირებს კიდევ უფრო მეტი რისკის ქვეშ აყენებს, მოვლენების ლოგიკური განვითარებაა, რადგან ასეთი დასკვნის საშუალებას სამთავრობო ძალების მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება იძლევა,"** - განაცხადა "ამნესტი ინტერნეიშენალის" მთავარმა მრჩეველმა კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების საკითხებზე დონატელა როვერამ. ორგანიზაცია თავის ანგარიშში კიდევ ერთხელ მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგი სირიაში სადამვირვებლო მისიის ფარგლებში, რომელსაც ვადა აგვისტოში ეწურება, ან სულაც ამავე მიზნით ახალი მექანიზმი შექმნას.

სისასტიკეში ურთიერთბრალდებების პარალელურად, რეგულარული არმიისა და "სირიის თავისუფალი არმიის" მხრიდან გადაწყდა, რომ შეერთებული შტატები ამბოხებულებს დაეხმარება. ბარაკ ობამამ შესაბამის განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა. დოკუმენტი, პირობითი სახელწოდებით - "სადაზვერვო ორიენტირი", ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას ითვალისწინებს და დაზვერვის ცენტრალურ სამმართველოს დახმარების გაწევის უფლებას ანიჭებს.

სირიის საზღვართან კი თურქეთმა უკვე დაიწყო სამხედრო წვრთნები, რომელშიც 25 ტანკი და მძიმე ჯავშანტექნიკა მონაწილეობს. სირიაში შექმნილ ვითარებას გამოუვალ მდგომარეობად აფასებენ ექსპერტები. **"სირიის ხელისუფლებას მეტი დრო სჭირდება შეიარაღების გაძლიერებისა და ქვეყნის მასშტაბით გადაადგილებისთვის, მაგრამ გზები უსაფრთხო უკვე აღარ არის. მოსახლეობის სიმჭიდროვის გამო ხელისუფლებას რეგიონებზე დარტყმის უფლება არა აქვს და ბოლოს, თურქეთიდან ამბოხებულებისთვის იარაღის მიწოდება კიდევ უფრო გამარტივებულია. "სირიის თავისუფალ არმიას" უცხოური ძალები უკვე ეხმარებიან ბრძოლების წარმართვაში, რაც დამასკოსა და ჰომსის შემთხვევაში არ ხდებოდა,"** - აღნიშნა "როიტერთან" საუბარში სირიულ გაზეთ "ალ ბაასის" მთავარმა რედაქტორმა ადნან აბედიმ.

ამბოხებულები ირწმუნებიან, რომ ქალაქ ალეპოს დიდ ნაწილს აკონტროლებენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, "სირიის თავისუფალი არმიის" ხელში დიდი რაოდენობით ტანკები და ვერტმფრენებია მობილიზებული, რომლებიც ასადის ჯარისგან მიიტაცეს. გარდა ამისა, შეიარაღებული ოპოზიცია უკვე "მიწა-ჰაერის" კლასის რაკეტებსაც ფლობს. საერთაშორისო საზოგადოება კი სირიის სისხლიანი კრიზისის დასრულებას გამკაცრებული სანქციებით დღეს კიდევ ერთხელ შეეცდება - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საუდის არაბეთის მიერ ინიცირებულ რეზოლუციის პროექტს უყრიან კენჭს.

გუშინ გაერო-სა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სპეციალურმა წარმომადგენელმა სირიაში, გაერო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გადაწყვიტა, სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობიდან გადამდგარიყო. ამის შესახებ გაერო-ს გენერალურმა მდივანმა ბან კი მუნმა განაცხადა და თან ამ ცნობას სამწუხარო უწოდა. ანანი მუშაობას აგვისტოს ბოლოს შეწყვეტს, როცა მისი მანდატის ვადა ამოიწურება. მან განაცხადა, რომ საშუამავლო მისიის განსახორციელებლად საერთაშორისო საზოგადოებისგან საჭირო მხარდაჭერა პოზიციების განსხვავების გამო ვერ მიიღო, თან ვერ შეძლო, სირიაში დაპირისპირებული მხარეები სამშვიდობო მოლაპარაკებებზე დაეყოლიებინა.

20 წლის თიბისის 12 თვე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ



წელს ბანკს 20 წელი უსრულდება, რასთან დაკავშირებითაც მთელი წლის განმავლობაში რამდენიმე კულტურული პროექტი, მათ შორის, გრძელვადიანიც, განახორციელა. მათ შესახებ ანგარიში ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ წარმოგვიდგინა.

როგორც ირკვევა, საიუბილეო წელი ბანკმა ქართული კულტურისა და ხელოვნების მხარდაჭერას მიუძღვნა და პრაქტიკულად ყველა სახელოვნებო მიმართულება მოიცვა: იანვარში ორიგინალური პროექტი, 12 მწერლისა და ამდენივე ფოტოგრაფის ერთობლივი ნამუშევრები, ერთგვარი ფილმი-კალენდარი წარმოგვიდგინა, რომელიც მოკლე ვიდეორგოლების გარდა საზოგადოებამ ბეჭდური სახითაც გაიცნო. პროექტში დაკავებული შემოქმედებითი წყვილები თვეების მიხედვით იყო გადანაწილებული: იანვრის შესახებ აკა მორჩილაძემ და ბესო უზნაძემ მოგვითხრეს, თებერვალზე - გურამ დოჩანაშვილისა და იური მეჩითოვის წყვილმა, მარტი ანა კორძაია-სამადაშვილისა და კახა კახიანის თვე იყო, აპრილის ამბავი დათო ტურაშვილმა და გიო სუმბაძემ შექმნეს და ასე შემდეგ.

თებერვალში საფუძველი ჩაეყარა პროექტს, რომლის საბოლოო შედეგსაც მიმდინარე წლის 17 დეკემბერს, თიბისის დაბადების დღეზე ვიხილავთ. აქაც მთავარი რიცხვი 12-ია: 12 რეჟისორი, ამდენივე სცენარისტი, მხატვარი, ოპერატორი და კომპოზიტორი. ახალგაზრდა კინოხელოვანთაგან შექმნილი 12 ჯგუფი წელიწადის თვეების შესახებ მოკლემეტრაჟიან ფილმებს იღებენ. ამ დროისთვის პრაქტიკულად მზადაა 7 ფილმი, უახლოეს მომავალში დანარჩენების გადაღებასაც დაიწყებენ, შემდეგ კი მათი ერთ ფილმად ქცევის პროცესი მოდის, რასაც პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი ნანა ჯორჯაძე კურირებს. პროექტის ფარგლებში მისი მონაწილეებისთვის რამდენიმე მასტერკლასიცაა დაგეგმილი. თბილისში ამ მიზნით უკვე იმყოფებოდა პოლონელი რეჟისორი კშიშტოფ ზანუსი, მომავალში კი იშტვან საბო და ვიმ ვენდერსი უნდა გვესტუმრმონ. თიბისისთვის მარტიც კინოთვე იყო - ამჯერად ჟურნალ "ცხელ შოკოლადთან" შეწყვილებულმა პროექტი "ძველი ფილმების კრებული" წამოიწყო, რომლის მიზანიც ძველი ქართული ფილმების აღდგენა, ციფრულ ფორმატში გადაყვანა და ამ გზით შენარჩუნება გახლავთ. პროექტის ფარგლებში უკვე აღდგენილია ოთხი ფილმი, მათ შორის, ალექსანდრე წუწუნავას "ქრისტინე" და "ხანუმა", ივანე პერესტიანის "არჩილ ჯორჯიაშვილი" და კოტე მარჯანიშვილის "გოგი რატიანი".

ვისაც თიბისი ბანკის სათაო ოფისში მრგვალი ბიბლიოთეკა გახსოვთ, ამ ადგილას აპრილის შემდეგ "თიბისი არტ გალერეა" ფუნქციონირებს. გალერეა წელიწადში მხოლოდ ოთხ გამოფენას უმასპინძლებს, რაც ნიშნავს, რომ მხატვართა შერჩევა საკმაოდ მკაცრად მიმდინარეობს. გალერეა ზურაბ ნიჟარაძის გამოფენამ გახსნა, ამჟამად კი აქ მამია მალაზონიას ნამუშევრებია გამოფენილი. დაახლოებით ორი თვის წინ ინტერნეტტელევიზია artarea.ge ამუშავდა. ამჟამად ტელევიზიას 22 საავტორო გადაცემა აქვს, რომლებიც ხელოვნების პრაქტიკულად ყველა მიმართულებას აერთიანებს: კინოს, თეატრს, პოპკულტურას, მუსიკას, ლიტერატურასა და სხვა.

ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი ლიტერატურული პრემია "საბა" უკვე ათი წელია სწორედ თიბისის ეგიდით იმართება, საიუბილეო თარიღი კი ბანკმა "საბას" ელექტრონული წიგნის სახლის შექმნით აღნიშნა. რამდენიმე დღის წინ პორტალ saba.com.ge-ს პრეზენტაცია შედგა, სადაც ამ ათი წლის განმავლობაში "საბას" ყველა ნომინანტი და გამარჯვებული წიგნია წარმოდგენილი. მათი შეძენა თქვენი ციფრული რიდერებისთვის სხვა ინტერნეტმაღაზიებთან შედარებით რამდენიმე თეთრით ნაკლებ ფასად შეგიძლიათ.

თიბისი ბანკის საიუბილეო ღონისძიებები 11 აგვისტოს ბათუმში გაგრძელდება - ბათუმის მუსიკისა და ხელოვნების ცენტრში მიუზიკლ "ვერის უბნის მელოდიების" პრემიერა იგეგმება. მიუზიკლს ფრანგი ქორეოგრაფი რედა ბენტიფორი დგამს, პროექტის მუსიკალური ხელმძღვანელია ნიკოლოზ რაჭველი, ხოლო არგენტინელი დიზაინერი სანტიაგო ფერნანდესი დადგმის მხატვარი და სცენოგრაფია. ამ მიუზიკლისადმი მოლოდინი საკმაოდ დიდია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ "ქეთო და კოტე" ნახა და მოისმინა...

თიბისი ბანკის საიუბილეო წელი 17 დეკემბერს დასრულდება. როგორც გითხარით, სწორედ ამ დღეს გაიმართება ზემოთ ნახსენები მოკლემეტრაჟიანი ფილმების გამთლიანებული ვერსიის ჩვენება, მანამდე კი ბანკის სათაო ოფისის ეზოში მუსიკალური საღამო ჩატარდება.

ანიმაციური "ქინ-ძა-ძა"

გიორგი დანელიას ცნობილი ფილმის "ქინ-ძა-ძას" ანიმაციური ვერსია 2013 წლამდე მზად იქნება. ამის შესახებ მულტფილმის პროდიუსერმა სერგეი სელიანოვმა რუსულ საინფორმაციო სააგენტოსთან საუბარში განაცხადა.

"გიორგი დანელია არაჩვეულებრივი რეჟისორია. "ქინ-ძა-ძა" კი, ძალიან კარგი პროდუქტი. მისი ანიმაციური ვერსია 2012 წელს უკვე მზად იქნება. მაყურებელი მულტფილმის ნახვას 2013 წლიდან შეძლებს," - ამბობს სელიანოვი.

მისი თქმით, ახლა მისი ყველაზე დიდი საზრუნავი ის არის, რომ "ქინ-ძა-ძას" ანიმაციური ვერსია, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა ნახოს.

"ქინ-ძა-ძას" ანიმაციური ვერსიიდან რამდენიმე ეპიზოდი დანელიამ, ჯერ კიდევ 2008 წელს წარმოადგინმა. რეჟისორმა მაშინ, ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ მულტფილმი "ქინ-ძა-ძა" ამავე სახელწოდების ფილმის ზუსტი ანალოგი არ იქნება. 2011 წელს, ფინანსური პრობლემების გამო, პროექტი დროებით შეჩერდა.

Newsru.com-ის ინფორმაციით, 2011 წლის ზაფხულში, ვლადიმერ პუტინისა და მულტიპლიკატორების შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ "ქინ-ძა-ძას" წარმოებას, სერგეი სელიანოვის სტუდია CTB დააფინანსებს.

2012 წლის აპრილში, რუსეთის მთავრობამ სპეციალური განკარგულება გასცა, სადაც ნათქვამია, რომ ანიმაციური ფილმი "ქინ-ძა-ძა" 2013 წლის პირველ იანვრამდე მზად უნდა იყოს.

2 წლის წინ, გერმანიაში, ნინო ხარატიშვილის სპექტაკლზე საარბრუკენის სახელმწიფო თეატრის მთავარი დრამატურგი იმყოფებოდა. მან შესთავაზა ნინო ხარატიშვილს დაეწერა სცენარი და საარბრუკენის თეატრში გერმანულ-ქართული დასისთვის სპექტაკლი დაედგა.

პროექტი, რომელიც წელს გაზაფხულზე განხორციელდა, საარბრუკენის მუნიციპალიტეტმა და საარბუკენის სახელმწიფო თეატრმა დააფინანსა.

სამმა ქართველმა და ხუთმა გერმანელმა მსახიობმა სპექტაკლი "კოკორო" სულ, 11-ჯერ ითამაშეს. **www.news.ge**

ნიკოლოზ რურუას ვიზიტი იმერეთში

გუშინ, 3 აგვისტოს, იმერეთში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ნიკოლოზ რურუას ვიზიტი შედგება. ზედა სიმონეთში, მინისტრი დ.კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებს შეხვდა. საუბარი შეეხებოდა უახლოეს მომავალში დაგეგმილ სარემონტო სამუშაოებს და თანამშრომლებისათვის ხელფასების გაზრდას. დ.კლდიაშვილის სახლ-მუზეუმი კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა. ასევე დაიგეგმა დ. კლდიაშვილის 150 წლის იუბილის აღნიშვნა 2012 წლის სექტემბერში. მინისტრი **ბაღდათში,** რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში, კულტურის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდა. ცენტრს გადაეცა საკონცერტო განათება-გახმოვანების აპარატურა, სერტიფიცირებული ანსამბლი "ბაღდათი" მინისტრმა მუსიკალური ინსტრუმენტებით დაასაჩუქრა, ხოლო სახელოვნებო სკოლის პედაგოგებს ნიკოლოზ რურუამ "დამსახურებული პედაგოგის" წოდება მიანიჭა და სერთიფიკატები გადასცა.

თბილისის ბაღებსა და სკვერებში კონცერტები გაიმართება

სტუდენტთა დასაქმების პროგრამაში მონაწილე კონსერვატორიის 30 სტუდენტი, ანსამბლებად დაკომპლექტდებიან და ყოველდღე მსუბუქ, კლასიკურ, თანამედროვე და აკადემიურ მუსიკას თბილისის პარკებში და სკვერებში დაუკრავენ. კონცერტები 20 აგვისტომდე, ოთხშაბათის და ხუთშაბათის გარდა, საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე - ვაკის პარკში, რიყის პარკში, ჯანსუღ კახიძის ბაღში, წითელ პარკში, "არტ-ჰოლის" ბაღში, ტექსელის სკვერში და დედაენის ბაღში გაიმართება. კონცერტები თბილისის მერიის ხელშეწყობით ხორციელდება. სტუდენტების დამსაქმებელთა მიერ გამოცხადებული ვაკანსიების სიაში ისეთი სამუშაო ადგილებიც არის, რომლებიც ახალგაზრდებს, საკუთარი პროფესიით დასაქმებისა და გასამრჯელოს აღების საშუალებას აძლევს.

ხელოვნების ფესტივალი ბათუმში

"აჭარის ხელოვნების მუზეუმში," ხელოვნების ფესტივალის ფარგლებში, თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობს. ფესტივალზე, ხუთი მხატვარი ქართული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდება. ასევე მოეწყობა სიმღერის პრეზენტაცია, რომელიც საგანგებოდ მხატვრებისთვის დაიწერა.

პროექტის ფარგლებში, დაგეგმილია ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა; მხატვრები მსურველებს სპეციალობების შესწავლას შესთავაზებენ. პროექტის მიზანი თანამედროვე ხელოვნების მოსახლეობისთვის გაცნობა და მისი პოპულარიზაციაა.

საქართველოს ხელოვნების ფესტივალის ორგანიზატორია, საქართველოს მხატვართა საერთაშორისო შემოქმედებითი კავშირი და მისი თავმჯდომარე ცისანა მჭედლიძე.

გამოფენა ბათუმში 5 აგვისტომდე გაგრძელდება, შემდეგ კი, ქუთაისში გადაინაცვლებს. კოლექციას, ქუთაისელი მხატვრების ნამუშევრებიც დაემატება და 7 აგვისტოს, 17:00 საათზე, ქუთაისის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზ "ვარლაში" ერთობლივი ექსპოზიცია გაიხსნება.

ფლამენკოს მეფე ბათუმში

ფლამენკოს მეფედ აღიარებული მეგავარსკვლავი ხოაკინ კორტესი 21 აგვისტოს ბათუმის პიაცაზე კონცერტს გამართავს. მადრიდის, ნიუ იორკის, ბარსელონას, საუდის არაბეთისა და მექსიკის შემდეგ კორტესი თავის ახალ რეტროსპექტიულ წარმოდგენას "კალეს", ანუ "ბოშას" ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს შესთავაზებს.

მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მოცეკვავე საქართველოში ოთხი წლის წინ იმყოფებოდა. ბათუმში უკვე იმყოფება კორტესის ტექნიკური რეჟისორი, რომელიც ბათუმის პიაცაზე ორგანიზატორებთან ერთად ტექნიკურ მხარეებს აგვარებს.

ხოან კორტესის კონცერტის ორგანიზატორები არიან მოცეკვავის იმპრესარიო საქართველოში ანი ლაღიძე, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტრო, აჭარის მთავრობა და ქალაქის მერია.

europe-bet.com

"ლონდონი 2012"-ს ნარმოგიდგენთ

გრაფიკიდან ამოვარდნა

პირველი გვერდიდან

ლაშა შავდათუაშვილის შემდეგ, ვერც ტატალაშვილმა, ვერც ჭრიკიშვილმა, ვერც ლიპარტელიანმა და უკვე ვეღარც ჟორჟოლიანმა მოახერხა მედლისთვის ბრძოლა. ისინი, ყველა ადრეულ ეტაპზე დაემშვიდობნენ ასპარეზობას. კაცმა რომ თქვას, ძიუდომ მაინც გააკეთა საქმე. უმაღლესი სინჯის მედალი მოუპოვა საქართველოს ნაკრებს. საინტერესოა, რომ ვაჟთა ტურნირში იაპონიამ ძიუდოში ერთი ოქროც კი ვერ მოიგო და დანა პირს არ უხსნით. ესეც ძიუდოს თავისებურებაა, მაგრამ იმ გრაფიკს, რომელიც ქართულმა დელეგაციამ ოლიმპიადის დაწყებამდე შეადგინა (7-8 მედალი), ძალიან ჩამოვრჩებით.

ახლა გათვლებს, თუ დავიწყებთ, ნათელი გახდება, რომ ამდენი მედლის აღება გაგვიჭირდება, მაგრამ თუ ჭიდაობის სამივე სახეობაში თითო ოქროს მოვიგებთ, ეს უკვე რეალური და ძალიან კარგი შედეგი იქნება. ამიტომ ვამბობ, ძიუდოისტებმა საქმე გააკეთეს მეთქი. ხვალ საქმეში ბერძენ-რომაელები ერთვებიან. ბეგი დარჩიას აქვს თავისი კოზირები და უნდა გამოიყენოს. მოგვიანებით კი თავისუფლების ჯერი დადგება. აქაც ძლიერი შემადგენლობა გვყავს და წესით რამდენიმე მედალი ყულაბაში უნდა ჩავაჩხრიალოთ.

მოკლედ, ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ გული გამოგიკეთოთ. ოლიმპიური თამაშები ჩვენთვის ჯერ ხურდება და მედლის მოპოვების შანსი ბოლო დღემდე გვრჩება. რაც შეეხება ძიუდოს, ვისგანაც მედალს ველოდით, იმან წააგო. ადამ ოქრუაშვილს კი, რომელიც დღეს ჩაებმება თამაშებში, ურთულესი მეტოქე ჰყავს და თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გაიღოს, რომ მედალს მოეჭიდოს.

გუშინ ოლიმპიადას ლომერ ჟორჟოლიანიც დაემშვიდობა

ლომერ ჟორჟოლიანმა კი ტურნირი კარგად დაიწყო და პირველ მეტოქეს, რუმინელ დანიელ ბრატას გასცდა. ლომერისთვის საქმე ძალიან კარგად აეწყო. მეორე წრეში მას მსოფლიოსა და ოლიმპიური რეიტინგების პირველ ნომერ, მსოფლიო ჩემპიონ ყაზახ მაქსიმ რაკოვთან უნდა ეჭიდავა, მაგრამ აზერბაიჯანელმა ელმარ გასიმოვმა რაკოვი გამოთიშა ასპარეზობიდან (ესეც სენსაცია, მსოფლიოს პირველი ნომერი პირველივე წრეში დამარცხდა).

ლომერ ჟორჟოლიანს ელმარ გასიმოვთან დადებითი ბალანსი ჰქონდა. ბოლო ბრძოლა ლომერმა ევროპის ჩემპიონატზე მოუგო გასიმოვს. შესაბამისად, ფსიქოლოგიური უპირატესობა წესით, ქართველის მხარეს უნდა ყოფილიყო, თუმცა დაიწყო ბრძოლა და ჟორჟოლიანი ვეღარ ვიცანით. ტატამზე მონუსხულივით იდგა. ვერაფერს ახერხებდა. ჩასჭიდებდა მეტოქეს კიმონოში ხელს და ილეთს ვეღარ აკეთებდა. ამ ტყუილი ჩაჭიდებისთვის კი მსაჯები აფრთხილებდნენ და საბოლოო ჯამში ლომერმა დასანანი მარცხი განიცადა. მით უფრო, რომ გასიმოვს რაკოვთან შერკინების შემდეგ ტრავმა აწუხებდა. მას ფეხი ძალიან სტკიოდა და ჟორჟოლიანს მისთვის წვივში რამდენიმე სარმა რომ გამოედო, გასიმოვი ვეღარ გაძლებდა. ლომერმა ეს არ გააკეთა და წააგო.

საბოლოო ჯამში აზერბაიჯანელი მეოთხედფინალშივე დამარცხდა. ნატკენმა ფეხმა ვეღარ გაუძლო. საწყენია, რომ მისი ტრავმირებული ფეხი, ქართველმა ვერ გამოიყენა. "ჩვენი ფალავნები ხშირ შემთხვევებში დაცვით ტაქტიკას ირჩევდნენ. ეს ზოგჯერ ამართლებდა, ზოგჯერ კი არა. ლომერის შემთხვევაში არ გაამართლა" - განაცხადა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პეტერ ზაიზენბახერმა.

ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე გიორგი ვაზაგაშვილის თქმით, ლომერი უბრალოდ ვერ განეწყო საჭიდაოდ. "ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემა ჟორჟოლიანს არ უნდა ჰქონოდა. ვერც იმას ვიტყვი, რომ დაცვითი ტაქტიკით მოქმედებდა, რადგან გაფრთხილების გამო იუკოთი აგებდა. როცა აგებ დაცვითი ტაქტიკა ვერ გექნება. ვფიქრობ, რომ ვერ განეწყო ამ ბრძოლისთვის. არადა, გასიმოვისთვის მას არაერთი ორთაბრძოლა აქვს მოგებული. საწყენია, მასთან ლომერს არ უნდა წაეგო," - განმარტა გიორგი ვაზაგაშვილმა.

ჩემპიონს ჩემპიონობა ბებიის გარდაცვალებით ცნობით "მიულოცეს"

გიგა გურასაშვილი
ლონდონიდან

წყალში ხტომაში სამგზის ოლიმპიურ და მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონს ვუ მინ სიას ლონდონი სოლიმპიურ თამაშებზე 3- მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომებში ჩემპიონობა ბებიის გარდაცვალები სცნობით «მიულოცეს".არადა, ის ბებია ერთი წლის წინათ გარდაცვლილა. ბებია იქით იყოს და ვუ მინ სიას ისიც აცნობეს,რომ დედამისი რვა წელიწადი მკერდის კიბოთი იტანჯება. დედის ავადმყოფობა შესაძლოა ვერც გაეგო 26 წლის ჩემპიონს, მაგრამ საკვირველი ერთი წლის განმავლობაში გადამალული გარდაცვლილი ბებიაა.როგორც არ უნდა იყოს, მშობლებმა ასე ჩათვალეს საჭიროდ - ქალიშვილს ლონდონის ოლიმპიურ წყალში ასპარეზობაში ხელი რომ არ შეშლოდა,შვილი საინფორმაციო ვაკუუმში ამყოფეს. ერთადერთი დადებითი მშობლების საქციელში ისაა, რომ მსგავსი ნაბიჯი დაუფასდათ.

«დიდი ხანია შევურიგდით ბედს, რომ ის ჩვენ აღარ გვეკუთვნის. Shanghai Morning Post-ზე დაყრდნობით სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის მამის ვუც ზიუე მინის სიტყვებს გვამცნობს Sky News. - ისეთ რაღაცეებზე ფიქრსაც კი ვერ ვბედავ,როგორიცაა ოჯახური ბედნიერება".

დრამატულ ვითარებაში რომ გავერკვეთ, ჩინეთში სპორტისადმი მიდგომაზეც ვთქვათ. საქმე ისაა, რომ ჩინეთში ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახებიდან პატარა ასაკიდან მიჰყავთ ბავშვები სპორტულ ინტერნატებში, სადაც დღეში საათობით ავარჯიშებენ თუ აწრთობენ მომავალ ჩემპიონებს.შეიძლება ითქვას,ტრანსფორმირებული მამლუქების სკოლები აქვთ და შედეგებსაც იმკიან. გარდა იმისა, რომ შინაურ კედლებში - პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე 51 ოქროს მედალი დაისაკუთრეს და მედლების ცხრილში პირველობა არავის დაუთმეს, ლონდონშიც დიდი ნაბიჯებით მიიწევენ პირველობისკენ და აქაც საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვუ მინ სიამ, ისევე როგორც ბევრმა მისმა თანამემამულემ თუ თანაგუნდელმა ოლიმპიური მწვერვალებისკენ სვლა ექვსი წლის ასაკში სწორედ ასეთ სპეციალიზირებულ ბანაკში დაიწყო. 16 წლისას უკვე საბოლოოდ მოუწია მშობლიურ სახლთან გამოთხოვება - სპორტის საწყლოსნო სახეობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გადავიდა.

«ბებიის გარდაცვალების შემდეგ ვუმ დაგვირეკა. თავს ვერ ვიკავებდი. არ ვიცოდი რა მეთქვა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, უნდა მომეტყუებინა, რომ ყველაფერი კარგად იყო, რომ არაფერი არ გვიჭირდა. ჩვენს ქალიშვილთან ოჯახურ საკითხებზე არასდროს არ ვლაპარაკობთ".

აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მშობლები ძალზე იშვიათად ხედავენ საკუთარ ქალიშვილს. ჩემპიონ შვილზე სიახლეებს «ფეისბუქის" და «ტვიტერის" ჩინური ანალოგის Weibo-ს პირადი მიკრობლოგიდან თუ იტყობენ. სამგზისოლიმპიურიჩემპიონისმშობლებიახლალონდონშიარიან, მაგრამ მასთან შეხვედრა ფინალური ხტომების დასრულებამდე ვერ მოახერხეს.

«როდესაც ლონდონში ჩამოვედით, მოკლე ტექსტური შეტყობინება გავუგზავნეთ. მივწერეთ, რომ კარგად ვართ და რომ არ ენერვიულა", - ამბობს მამამისი.

საგულისხმოა ისიც, რომ ამ ისტორიამ ჩინეთშიც კი არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. იმავე «ვეიბოს" ქსელში ერთნი მშობლებს ადანაშაულებენ გულგრილობაში, მეორენი კი სპორტის განვითარების მკაცრ სახელმწიფო პროგრამას აკრიტიკებენ.

და ბოლოს, ვუ მინ სია პირველი წყალშიმხტომელია, რომელმაც ზედიზედ მესამე ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვა ოქროს მედალი. ასე რომ, ის ამ მხრივაც შევიდა ისტორიაში.

ლონდონი 2012. Top 7 სკანდალი

ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ჯერაც ნახევარი არ გასულა და უკვე რამდენიმე საკმაოდ ხმამაღალი სკანდალის მოწმენი გავხდით. "ჩაწყობილი" თამაშები ბადმინტონში, "არასწორი" კორეული დროშა, რასისტული გამოხდომები «ტვიტერში", იაპონური პროტესტი ტანვარჯიშში, საოცრად სწრაფად მოცურავე ჩინელი გოგონა და სხვა....მოკლედ, მოდით ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ და სკანდალების «შესანიშნავი შვიდეული" შევადგინოთ.

ჩინელები და არა მარტო ჩინელები ოლიმპიადიდან მოკვეთეს

უცნაური მატჩები ბადმინტონში

ბადმინტონის მსოფლიო ფედერაციის მამებმა ჩათვალეს, რომ ჯგუფური ეტაპის უკანასკნელ მატჩებში ტურნირის ოთხმა ფავორიტმა წყვილმა ძალები დაზოგა, მეტიც წყვილებმა თამაშები "ჩაუშვეს". ორ ჩინურ და ორ ინდონეზიურ წყვილს ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის წინ ფლეი ოფში თამაში გარანტირებული ჰქონდა. ერთ-ერთ ჩინელს შემდეგ შემთხვევით წამოცდა კიდეც, რა მოხდა, ძალები დავზოგეთო, თუმცა ერთია ძალების დაზოგვა და მეორე თამაშის განგებ წაგება. საქმე ისაა, რომ ხსენებულმა ოთხმა წყვილმა იმდენი შეძლო, რომ ფლეი ოფში ჩინური წყვილი ჩინურს ფინალამდე არ შეხვედროდა. როდესაც ჩინელმა მოთამაშეებმა მოწოდებისას განგებ გაუშვეს რამდენჯერმა ბადმინტონის ვოლანი ბადეში ტრიბუნებზე სტვენა დაიწყეს. მსოფლიო ბადმინტონის მამებმა ოთხივე წყვილი მკაცრად დასაჯა, გადაწყვეტილება მარტივი და სამაგალითო გამოდგა - ოთხივე წყვილი ოლიმპიური თამაშებიდან მოიკვეთა.

დაუსრულებელი წამი ფარიკაობაში

ის, რაც ფარიკაობის ტურნირზე მოხდა, ვინმემ შესაძლოა კურიოზად შეაფასოს, თუმცა კორეელი შინ ა ლამისთვის ეს ტრაგედიაა.

ხმალით ბრძოლის ნახევარფინალში კორეელი გერმანელ ბრიტა ჰენიდემანს ეპაექრებოდა, მიმდინარეობდა ბრძოლის დამატებითი დრო და თუ შეხვედრა ფრედ დასრულდებოდა ფინალში კორეელი გადიოდა. ფინალურ სირენამდე ერთი წამით ადრე რეფერიმ ოთხჯერ მოასწრო სპორტსმენებისთვის ბრძოლაში ჩართვის მითითების მიცემა. გერმანელმა ოთხი ცდიდან ერთი გამოიყენა და ფინალში გავიდა. 1 წამში ოთხი ცდა? დამეთანხმებით უცნაურია. ასპარეზობის შემდეგ გოგონა, რომელიც წამზომთან იჯდა და დროს აკონტროლებდა იფიცებოდა, რომ სირენის ღილაკს მთელი ძალით აჭერდა, მაგრამ მატჩის დამასრულებელი სირენა მაინც არ გაისმა. კორეელისთვის ეს აღიარება ვერაფერი შვებაა, ფინალში მაინც გერმანელი გავიდა. "საერთაშორისო ფედერაციამ ჩვენი სიმართლე აღიარა და შინ ა ლამს სპეციალურ ჯილდოს მისცემენ" - განაცხადა მოგვიანებით სამხრეთ კორეის ოლიმპიური კომიტეტის თავმა.

იაპონური პროტესტი

ტანვარჯიშში ვაჟთა შორის გუნდური ასპარეზობის დასრულების შემდეგ უკრაინელები ბრინჯაოს მოგებას ზეიმობდნენ, მთელი ბრიტანეთი კი ბრიტანელი ტანმოვარჯიშეების ვერცხლს. მხოლოდ იაპონელები იდგნენ აუღელვებლად და პროტესტს ამზადებდნენ. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა თავიანთი ლიდერის კოჰეი უჩიმუარს დაბალი შეფასება გააპროტესტეს და საწადელსაც მიაღწიეს. პროტესტის დაკმაყოფილების შემდეგ იაპონელები მეოთხედან მეორე ადგილზე აღზევდნენ, ბრიტანეთმა ვერცხლის ნაცვლად ბრინჯაო მოიგო, უკრაინა კი მედლის გარეშე დარჩა. თან უკრაინელებს პროტესტის უფლებაც არ ჰქონდათ, საქმე ისაა, რომ ტანვარჯიშში მხოლოდ საკუთარი შეფასებების გაპროტესტებაა შესაძლებელი.

არასწორი დროშა

სულ ცოტაც და ოლიმპიური თამაშების ოფიციალურ გახსნამდე ერთი დღით ადრე დიდი პოლიტიკური სკანდალი აგორდებოდა. თითქმის ერთი საათის განმავლობაში ჩრდილო კორეელი ფეხბურთელი გოგონები გასახდელში ჩაიკეტნენ და მინდორზე არ გადიოდნენ. მიზეზი ისაა, რომ შემადგენლობების გამოცხადებისას ტაბლოზე ჩრდილო კორეელი ფეხბურთელების ფოტოების გვერდით სამხრეთ კორეის დროშა იყო ასახული.

ჩრდილო კორეის დელეგაცია მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, რაც ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა მათ ოფიციალური ბოდიში მოუხადეს.

დოპინგი

ამ ეტაპზე დოპინგის გამო ოლიმპიურ თამაშებს ექვსი სპორტსმენი დაემშვიდობა. სიმაღლეში ხტომაში მსოფლიოს ზამთრის ჩემპიონ ბერძენ დიმიტრიას ჰონდროკუკისს სისხლში სტანაზოლი აღმოუჩინეს. ძალოსნების საეჭვო ტრიო თურქეთიდან და ალბანეთიდან ლონდონამდე არც ჩასულა. უზბეკმა ტანმოვარჯიშე ლუიზა გალიულინამ კი სისხლში სტანაზოლის შემცველობა დედის მიერ მიცემული დამამშვიდებლებით ახსნა. საკმაოდ ვაჟკაცურად მოიქცა მორბენალი სენტ კიტსიდან და ნევისიდან ტამეკა უილიამსი, რომელმაც თავად აღიარა, რომ დოპინგს იღებდა. ეს სია ალბათ კიდევ გაიზრდება, ყოველდღიურად ხომ 400-დე სპორტსმენს ამოწმებენ დოპინგზე.

ინტერნეტ დისკვალიფიკაცია

სულ მალე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს შესაძლოა სპეციალური სამსახურიც კი დასჭირდეს სოციალური ქსელების გასაკონტროლებლად. რას წერენ სპორტსმენები «ტვიტერსა" და «ფეისბუკში" კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

ბერძენმა მძლეოსანმა პარასკევია პაპახრისტუმ «ტვიტერში" დაიჩივლა, რომ საბერძნეთში ნამეტანი ბევრი შავკანიანი ცხოვრობს. «ისინი აქ უკვე ისე მომრავლდნენ, რომ დასავლეთ ნილოსის მოსკიტები შინაური საკვებით იკვებებიან". ერთი შეხედვით უწყინარმა ხუმრობამ საბერძნეთში ლამის პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია და პარასკევიაც ოლიმპიურ თამაშებს ჩამოაცილეს. რასიზმში დაადანაშაულეს ნორვეგიელი ფეხბურთელი მიშელ მორგანელუც, როემლმაც «ტვიტერში" სამხრეთ კორეელების მიაყენა შეურაცხყოფა.

საეჭვო სისწრაფე

16 წლის ჩინელმა ვუნდერკინდმა ეი შივენმა ქალთა შორის 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა მოიგო. თავისთავად ამაში გასაოცარი არაფერია, თუმცა ჩინელი გოგონას სისწრაფემ მწვრთნელთა საერთაშორისო ასოციაციის ხელმღვანელი ჯონ ლეონარდი საფუძვლიანად დააეჭვა.

თუ ჩინელი გოგონას ცურვის სტატისტიკას გადავხედავთ დავინახავთ, რომ საჩემპიონო გაცურვაში, უკანასკნელი ასი მეტრი მან უფრო სწრაფად გაცურა, ვიდრე ამავე დისტანციაზე ოლიმპიური ოქროს მომგებმა ამერიკელმა ვაჟმა რაიან ლოხტემ. «აგერ უკვე 45 წელია ცურვაში ვმოღვაწეობ. როდესაც გოგონა მსოფლიოს ერთ-ერთ უსწრაფეს მოცურავე ვაჟს უსწრებს, ეს სულ მცირე საეჭვოა. ცურვაში ასეთი საოცრებები არ ხდება",- აცხადებს ლეონარდი.

«დოპინგს არასდროს გამოვიყენებდი, ჩინელები სუფთა ხელებით ვმუშაობთ", - მშვიდად რეაგირებს ლეონარდის ბრალდებებზე ჩინელი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელსაც საერთაშორისო ანიტდოპინგურმა კომიტეტმა სისხლში დოპინგის შემცველობა ვერ აღმოუჩინა. მოკლედ, შივენი ან მართლაც საოცრებაა, ან ჩინელებმა ისეთი დოპინგი მოიგონეს, რომლის აღმოჩენასაც ჯერ ვერ ახერხებენ. ინფორმაციისთვის გეტყვით, რომ ანტიდოპინგური კომიტეტი სპორტსმენების სინჯებს რვა წლის განმავლობაში ინახავს.

"დილას" პირველი მარცხი

მატჩის წინა დღეს სტუმართა პრესკონფერენციაზე "ანორთოსისის" ებრაელმა მთავარმა მწვრთნელმა, აარონ ლევმა და ფრანგმა ნახევარმცველმა ვენსან ლაბანმა ისაუბრეს.

ჩვენმა მზვერავმა ბევრი საჭირო ინფორმაცია ჩამოგვიტანა. შემიძლია ვთქვა, რომ თქვენს გუნდზე საკმარისი ინფორმაცია გვაქვს. "დილა" საკმაოდ კარგი გუნდია, თუმც მისი სუსტი მხარეები კარგად შევისწავლეთ და გამარჯვებაში ეჭვიც არ გვეპარებაო. ფაქტობრივად, მწვრთნელის სიტყვები გაიმეორა მისმა ფრანგმა შეგირდმაც და როგორც გუშინდელმა თამაშმა გვაჩვენა, კვიპროსელთა ებრაელ თავკაცს მართლაც ზედმიწევნით კარგად შეუსწავლია ქართლელთა სათამაშო სტილი.

პირველ წუთებში გორელებმა ერთგვარი შტურმისმაგვარის მოწყობა კი სცადეს და კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს ირაკლი მოდებაძემ თავით კარისკენ უცვალა მიმართულება, თუმცა მერე მოედნის ცენტრს სტუმრები დაეპატრონნენ და მოკლე პასებით და ფლანგებზე გაშლილი თამაშით მასპინძელთა საჯარიმოსთან ახლოს ტრიალებდნენ. მართალია, საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა, თუმცა კვიპროსელთა სწრაფ და ტექნიკურ ლეგიონერებს გორელები გაჭირვებით და წესების დარღვევით უმკლავდებოდნენ, ნორვეგიელი არბიტრიც ყვითელ ბარათებს არ იშურებდა.

მეორე ტაიმის 57-ე წუთი საბედისწერო გამოდგა მასპინძლებისთვის და მისი ერთ-ერთი ლიდერისთვის - მოედნის ცენტრში გოგიტა გოგუამ ხელით შეაჩერა მეტოქე და არბიტრმაც მეორე ყვითელი, შესაბამისად, წითელი ბარათი აუფრიალა და "დილა" უმცირესობაში დატოვა.

სტუმრები გოგუას გაძევების შემდეგ უფრო გააქტიურდნენ და მალევე ანგარიშიც გაიხსნა - კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მცველთაგან უმეთვალყურეოდ დატოვებულმა ოკასმა მოხდენილი თავური შეაგება და ბურთი "დილას" კარის ბადეში გაახვია.

კარგი ის იყო, რომ ქართლელები მარცხს ვერ ეგუებოდნენ და მალევე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება - სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ დავით კვირკველიამ მიწაზე დაუშვებლად მძლავრად დაარტყა, მაგრამ "ანორთოსისი" მეკარემ იხსნა. შეხვედრის ბოლო წუთზე სანდრო გურულმა ვერ შეირგო სტუმართა მცველთა შეცდომა, ფაქტობრივად მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა მახვილი კუთხიდან შეუჩერებლივ დაარტყა, მაგრამ არაზუსტად და "დილამ" პირველი მარცხი იგემა ევროსარბიელზე.

საპასუხო შეხვედრა ლარნაკაში ერთი კვირის თავზე გაიმართება და დავიტოვოთ იმედი, რომ გორელები კიდევ ერთი სენსაციის მოხდენას შეძლებენ.

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი.

პირველი მატჩი.

"დილა" (გორი) - "ანორთოსისი" (კვიპროსი) 0:1

გოლები: 0:1 ოკასი (69)

ფავორიტები

ზურაბ თალაკვაძე



ტიმ დანკანის აგრესიული გამოხედვა



ლებრონ ჯეიმსი, კალათბურთის დებიუსი

ლონდონში სერიოზული გარჩევები მიდის. საკალათბურთო ამბებში საფრანგეთი ამერიკამ გადახერხა და საფრანგეთმა არგენტინა გააჩერა. არგენტინაში ემანუელ ჯინობილი და ლუის სკოლა მეჯიქ-ჯაბარის ახალი ვერსია იყო. არგენტინამ მანამდე ლიტვა დასერა. ფრანგებმა ერთ დღეში ლიტვაც კუთხეში დააყენეს და თითებში სახაზავი ურტყეს. ტონი პარკერი იქ ბოსია. ნანდო დე კოლო იქ ბოსისგან კარგ ბიჭებთან ლაპარაკს სწავლობს. ბორის დიაო იქ ტიმ დანკანია. ნუ, თითქმის დანკანი.

რეალური ბოსები ამერიკაში ისვენებენ. ლებრონ ჯეიმსი, კობი ბრაიანტი, კრის პოლი და კევინ დიურანი ამერიკას კიდევ ერთ მოგებულ ფინალს აჩუქებენ და NBA-ს ახალი რეგულარულისთვის მოემზადებიან. დიდი ბიჭები სხვა დონეზე არიან და დიდი ბიჭების ლიგა ოქტომბრის ბოლოს გაიხსნება. წითელ ხალიჩაზე ოსკარის ნომინანტები გაისეირნებენ. წინა ოსკარი "მაიამიმ" აიღო და ლებრონი იმ სეზონის დენზელ ვაშინგტონი გახდა. ეს სეზონიც საინტერესო იქნება. მოქმედი ჩემპიონი პირველი ფავორიტია. მერე კიდევ ორი სერიოზული გუნდი მოდის. დანარჩენები მეორე ეშელონში ზიან. დანარჩენებში "ბოსტონი", "ლეიკერსი" და კიდევ რამდენიმე კარგი ბანდაა.

მაიამი

ფლორიდაში მაგარი ქეში იქნება დასარიგებელი. შემდეგ სეზონში ბიჭები დიდ კუშს მოხსნიან და პატ რაილის ბენდს რეგულარულში რეპეტიცია ექნება. რეპეტიცია ფლეი ოფში ბისამდე. ფლეი ოფში ბევრი ჰედლაინერის ფისტივალი წავა. და წამოიღებს.

ჯოელ ენტონი - კანადის ნაკრების კაპიტანი 3 600 000 დოლარს აიღებს. რამდენიმე მოხსნაში და უქარიზმო კალათბურთისთვის ნორმალური კუშია. ჯოელს ახალ ჰამერზე ეყოფა და ბანკის კრედიტსაც დაფარავს.

შეინ ბეტიე - 3 000 000. დაცვა, სადაც ბრიუს ბოუენის, ჯო დუმარსის და დენ მარლის ელემენტებია. ბეტიე აუცილებელი ელმენტია. შეინმა დობერმანის თვალებით კიდევ ერამდნეიმე დაქირავებული ჰიტმენი უნდა გააჩეროს.

კრის ბოში - 16 022 000. 18.0+7.9 მოხსნა სექსუალურია. "მაიამიში" ბოშის ინტელექტი იშლება და მოქნილი გიგანტი ახალ სეზონში უფრო მეტს გააკეთებს. უნდა გააკეთოს. ჯეიმსმა უნდა დაისვენოს და ბოშს ხელზე სულ ორი ჯოკერი ექნება. უკვე თემაა. კრისი "ტორონტოში" თითქმის გარნეტი იყო და "მაიამიში" თითქმის ბოშია.

მარიო ჩალმერსი - 4 000 000. ნორმალური ბიჭის ნორმალური ბონუსი. რამდენიმე სამიანი, ნორმალური დაცვა, ბევრი რეპი. ჩალმერსი დისკის ჩაწერას აპირებს. და კიდევ ერთელ წავა თეთრ სახლში, მისტერ ობამასთან პრივატზე. ჩალმერსი სანდო ელემენტია.

ნორის კოული - 1 035 960. 6.8+2.0 პასი ცოტა წუთში წავა. რაილიმ კოულს აგრესია შეუკვეთა და თუ ბოსი აგრესიას მიიღებს, კოულს ახალ კონტრაქტს აჩუქებენ.

ედი კარი - 1 229 255. ბალასტი. იშვიათად თამაშობს კალათბურთს. იშვიათად ვარჯიშობს. ხშირად ეწევა მოსაწევს და უფრო ხშირად, ბოშს მარჯვენა ტერფის მასაჟს უკეთებს. კარის ჰობი ჰელბოის კომიქსებია. კარიც კომიქსია. დიდი, გაბერილი კომიქსი.

ჯასტინ ჰამილტონი - პირველწლიანი ცენტრი. მიიღებს პატარა კონტრაქტს და დიდი ბიჭებისგან სექსუალურად თამაშს დაამუღამებს. სადღაც, ნახევარი მილიონი უნდა მიუგდონ. ჰამილტონი საკოლეჯო დონეზე, დაცვაში მარკუს კემბი იყო. ვნახოთ. მალე ვნახავთ. მეორე ეშელონისთვის თითო ჯასტინი ყველა გუნდში უნდა იყოს.

ტერელ ჰარისი - 463 604. 14.1 წუთი, 3.6+2.3 მოხსნა+1.2 პასი. ჩვეულებრივი ბიჭის ჩვეულებრივი სტატისტიკა. ჰარისმა იცის, რომ არ უნდა იწუწუნოს.

ადონის ჰასლემი - 3 780 000. კაპიტანი. 594 ტესტი (ერთ გუნდში), 9.5 ქულა, 8.0 მოხსნა, ლოიალობა, სტაბილურობა, დიდი დოზით პოზიტივი. ჰასლემი ამ ბანდის კაპიტანი, სტაბილიზატორი და ენერჯაიზერია. დაცვაში დიდ ბიჭებზე უშვებენ და თავისი საქმე იცის. ადონისი შემდეგ სეზონში თავისუფალი აგენტი იქნება.

ჯუვან ჰოვარდი - 1 325 181. ასაკს პატივი უნდა ვცეთ. ასაკი ასაკოვანი ბაბუა და "მაიამის" გასახდელში ჰოვარდი ვიტო კორლეონეა. შემოდის, კალათბურთზე აღარ ფიქრობს და ძირითადად, მოგონებებით ვარჯიშობს. ჰოვარდმა თავისი ბეჭედი დაირტყა. ჯუვანს კარიერაში 16 138 ქულა, 7 420 მოხსნა და ბევრი მოგონება აქვს.

ლებრონ ჯეიმსი - ლონდონში ლებრონი ექსკურსიაზე ჩავიდა და ბიჭმა ბიგ ბენი ნახა. ბიგ ბენმა ლებრონი გაიცნო და მოეწონა. კალათბურთი გააშუქეს და გამოჩნდა, რომ ლებრონი კალათბურთის ფილტვებია. კალათბურთი ლებრონით სუნთქავს. ფილტვებში ნიკოტინი არ შედის. ლებრონი სეზონში 16 022 500 დოლარს აიღებს და დედიკოს საქორწილო საჩუქარს უყიდის. მერე კიდევ ერთ ფინალს მოიგებს და ახალ ბეტმენში კრისტიან ბეილს შეცვლის.

ჯეიმს ჯოუნსი - ჯერ უკონტრაქტო ბიჭია. ჯოუნსი სამიანების კონკურსს იგებს და "მაიამიში" ეს ამბები არ ახსოვთ. ჯეიმსმა 51 გარჩევაში 13.1 წუთი მიიღო. "მაიამიმ" ამ დროში ჯოუნსის 3.6 ქულა მიიღო. ჯოუნსი ერთჯერადი მასტია და ხანდახან ერთჯერადი პერსონაჟები ბევრჯერად სერიებს იგებენ. ჯოუნსი დარჩება. და მოუმატებს.

რაშარდ ლიუისი - 21 136 631. სერიოზული კუში. ერთი სეზონით რაშარდი კლუბის ყველაზე ძვირადღირებული მასტიფი იქნება. უფრო ძვირი, ვიდრე ლებრონი. ადრე, "სიეტლში" და "ორლანდოში" ლიუისი სანდო და საინტერესო ბიძა იყო. **2004/05** - "სიეტლში", 20.5+5.5 მოხსნა, 173 ჩასმული სამიანი. **2005/06** - "სიეტლში", 20.1+5.0 მოხსნა, 142 სამიანი ათიანში გაუშვა. **2006/07** - "სიეტლში", 22.6+6.6 მოხსნა, 151 სამიანი გამოიყენა. **რაშარდი კარიერით** - 16.1+5.6 მოხსნა, 1 690 ზუსტი სამიანი. "მაიამიმ" გამოცდილება და რისკი იყიდა. 32 წლის რაშარდმა უნდა გაქაჩოს.

მაიკ მილერი - 5 400 000. მაიკში ბევრი კალათბურთი დარჩა. მილერი იგებს ინტელექტით, გაძლევს ბერვ ემოციას და მაიკი ნებისმიერ ზონას დაგიშლის. მილერის წარსულში მომავალი იყო. დღეს მაიკი კალათბურთის ენციკლოპედია და ჩემპიონისთვის აუცილებელი ელემენტია. ზონას შლის, ლებრონს ასვენებს, რამდენიმე ელეგანტურ პასს ტოვებს, ბლანჟეს უვლის, არ ცელქობს და სხვის დედებს არ კერავს. მაიკი კარგი ბიჭია. ერთი სეზონი მილერის კარიერიდან - **2006/07**, "მემფისში", 18.5+5.4 მოხსნა+4.3 პასი+202 ზუსტი სამიანი. მაიკი "მაიამიში" როჯერ გლოვერია.

დექსტერ პიტმანი - 762 195. მისტერ პიტმანმა წინა რეგულარულში "შარლოტთან" ორ თამაშში საშუალოდ 10.1 ქულა წამოიღო. დანარჩენ გუნდებთან ათ ქულაზე ნაკლებს იღებდა და ჯოელ ენტონის, ჰასლემს ენერგიას ასვენებდა. პიტმანი საჭირო ახალგაზრდაა. პატ რაილიმ პიტმანს თავისი პუდელი ორჯერ სასეირნოდ გაატანა. უკვე ნდობაა.

დუეინ უეიდი - 15 512 000. უეიდი კარიერული სტატისტიკით - 25.2+6.2 პასი+5.1 მოხსნა+1.8 ჩაჭრა+1.0 დაფარება. იდეალური სტატისტიკა იდეალური კაცისთვის. იდეალური კაცი იდეალური გუნდისთვის. იდეალური გუნდი უეიდისთვის და ბიჭმა ექვსი წლის წინ ფლორიდას სუპერფინალი მოაგებინა. იმ "მაიამიმ" (შაკთან, ენტუან უოკერთან და გარი პეიტონთან ერთად) "დალასი" 4:2 გააჩერა. დღეს, ლებრონთან ერთად უეიდმა ცოტა დაკარგა, ცოტა უკანა პლანზე გადავიდა და უეიდი ჯერ უეიდია. დუეინმა ლებრონს სამჯერ ბოულინგის ჩემპიონატი მოუგო. ლებრონმა და უეიდმა სუპერფინალი მოიგეს. წრეზე სიარული ფლორიდული ჰეფი ენდით. უეიდი გუნდის სახეა. და სახეზე დიდი ღიმილია.

ოკლაჰომა

ეს სეზონი გუნდისთვის ბევრ ამბავში გადამწყვეტიო იქნება. "ოკლაჰომა" გაიზარდა და სამი კარგი ბიჭის (კევინ დიურანი, რასელ უესთბრუქი, ჯეიმს ჰარდენი) სტამინა, ინტელექტი ასიანში გამოსაყენებელია. იქვე სერჟ იბაკას აგრესია და ტაბო სეფოლოშას დაუფასებელი დაცვაა. ნორმალური და ცოტა უინტელექტო ბიჭია კენდრიკ პერკინსი. მთლიანობაში, წავა რა... დიურანი გუნდურად აზროვნებს, ახალი ელემენტებით იშლება. კევინი გუნდის მაჩეტეა. კევინი ნიჭიერი მოსწავლეა და პროცესში, უკეთესი ხდება. უკეთესი დიურანი სხვებისთვის უარესი, მაგარი ცუდია. საშუალოდ 28-29 ქულა, ათამდე მოხსნა, აკურატული დაცვა და რამდენიმე პასი - დიურანის არსენალი მკვლელია. კევინი ოლიმპიადის შემდეგ დაისვენებს და შეუბერავს. ჰარდენმა დაგლიჯა წინა რეგულარულში (16.8+4.1 მოხსნა+3.7 პასი), ჰარდენმა აარტყა "ლეიკერსს" მეორე წრეში, ჰარდენმა შეუსრულა "სან ანტონიოს" კონფერენციის ფინალში და ჰარდენი იდგა ლებრონთან სერიაში. ჯეიმსი მორიდებული, ბუნჩულა და გაუპარსავი ბავშვივით თამაშობდა. ლებრონმა ჰარდენზე აიწია, მერე უეიდს გადაუგდო და ჯეიმსს ტონის აწევის მოერიდა. ჰარდენიც მოვა აზრზე.

რჩება რასი. ლიგის მუსტანგი, რომელიც თავის ზებულონ სტუმბს ელოდება და ვიღაცამ ლასო უნდა შემოუჭიროს, დაამშვიდოს. უესთბრუქი აკეთებს ყველაფერს, უესთბრუქი ასწრებს ბევრს და უესთბრუქი ცოტას ფიქრობს. რაღაც მომენტებში, საერთოდ არ ფიქრობს და რეფლექსურად აგვარებს პრობლემებს. რასელის (საშუალო) 24 ქულა და შარშანდელზე (5.5) ცოტა მეტი პასი გუნდისთვის თითქმის ჯეკპოტია. უესთბრუქში მეჯიქის ნიჭი და დამწყები მოთამაშის აზროვნებაა. ეს უნდა დაბალანსდეს და რასი პირველი ნომრების ჯეიმს ჰეთფილდი იქნება. Harvester of Sorrow.

სან ანტონიო

ტიმ დანკანი დარჩა და "სან ანტონიო" ახალი რეგულარულისთვის ძველი პერსპექტივით ემზადება. ტიმიც კარგი ბიჭია. "სპურსი" არის კლასის, თითქმის იდეალური სკაუტინგის, არითმიის გარეშე მუშაობის ორგანიზაცია. "სან ანტონიო" იცვლება, პეიზაჟები ახალი ფერებით ივსება და "სან ანტონიოს" სითბო, კალათბურთი მოაქვს. ტიმ დანკანის გუნდი ახალი სეზონისთვის ძველი ტიმით და გრეგ პოპოვიჩის დაკუჭული რვეულით ემზადება. რაღაცეები არ იცვლება და ტექსასში ქიდ როქი "სპურსისთვის" ახალი გამოსვლის დაწერას იწყებს. ტიმის, ემანუელ ჯინობილის, ტონი პარკერის, სტივენ ჯექსონის, ტიაგო სპლიტერის გამოსვლის. ბორის დიაოც საჭირო პერსონაჟია. პონჩიკი ფრანგი პონჩიკივით გემრიელ და ტკბილ პასებს არიგებს.

ტიმიმ ახალი კონტრაქტი მიიღო. ეს დანკანი (15.4+9.0 მოხსნა+2.3 პასი+1.5 დაფარება) უკეთესია, ვიდრე რეალურად უნდა იყოს. ტიმი 36 წლის გახდა, პოპოვიჩი გენიოსის წუთებს და ენერგიას უფრთხილდება. და დანკანი მოჭრილ დროში ბევრს ასწრებს. ტიმი ცვლის გუნდს და ტიმისთან ერთად "სპურსი" მშვიდდება. "სან ანტონიომ" ვერ გაქაჩა ბოლო სერიაში, დიურანის და რასის სპრინტერებთან დაიღალა. ახალი სეზონისთვის პოპოვიჩი ძველ ბანდას კიდევ ერთხელ წაიყვანს მექსიკურ რესტორანში, ჩაურთავს 2007 წლის სუპერფინალის დივიდის (იმ სერიაში ლებრონს დაკუნთულ ტაკუნებზე ჟანგიანი სამართებელი დაუსვეს) და დანკანი იდეალური კაცია. ტიმის შარშან 21.16 მილიონი ჰქონდა და ახალი კონტრაქტით სეზონში მხოლოდ 9.65 დაუჯდება. დანკანმა გუნდის სახელფასო ფონდში სერიოზული კუში დატოვა. შემდეგ სეზონში მანუ და სპლიტერი თავისუფალი აგენტები იქნებიან. ტიმი კაცია. სუპერმენი ბემბის თვალებით და ქარიმის მოძრაობით. სან ანტონიო დანკანის პრივატული კლუბია. კიდევ სამი წლით. Creeping Death.